# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 სექტემბერი 2005 №217 (2540) ფასი 50 თეთრი




## ქართუს თასს ქართველთაგან მაყურებელიღა შერჩა

კვირას უცხოელები ჩაამთავრებენ

12



## სერბეთი სერბეთმა დაამარცხა

ევროპა მსოფლიოს მიუახლოვდა

13

# ნოდარ ახალკაცი ყველაფეროზე



... სამთავრობო სტრუქტურებთან გასარკვევს გავარკვევთ, პასუხისმგებლობას არ გავურბივარ.

... დანიაში მარცხის შემდეგ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელთან დიდხანს ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ ეროვნულ გუნდში ბევრი რამ შეიცვლება.

... ალენ ჟირესმა ფედერაციიდან 550 ათასი დოლარი მიიღო. ჟირესის ნაკრებიდან დათხოვნით ქართულმა ფეხბურთმა მიშელ პლატინის სახით მტერი კი არა, შესაძლოა, მოყვარე შეიძინა.

... ჩვენ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს თვითმფრინავში ბანქოს თამაში ავუკრძალეთ. გაინტერესებთ რატომ? ისინი ფულზე თამაშობდნენ და ეს მატჩის წინ გუნდზე უარყოფითად მოქმედებს.

... აუცილებლად შევხვდები „დინამოს" მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „დინამოს" ხელმძღვანელები გუნდის უსუსური თამაშის შესანიღბად ბადრი პატარკაციშვილს სხვა სურათს უხატავენ.

... „დინამოს" ვეთანხმები, რომ კობა ჟორჟიკაშვილი „ზესტაფონის" ერთ-ერთი მწვრთნელია, გაიოზ დარსაძე კი, როგორც ფედერაციის ტექნიკური დირექტორი, „ზესტაფონს" ფიზიკურად ამზადებდა.

... „დინამო" ამბობს, რომ მსაჯებს რესტორანში არ პატიჟებს. კლუბმა მსაჯები რესტორანში რომ დაპატიჟოს, ეს ჩვეულებრივი ეთიკეტია და ყველა ქვეყანაში ასეა. ყოველ შემთხვევაში, მატჩის შემდეგ მაინც, მსაჯი რესტორანში უნდა წაიყვანო.

*მეორე გვერდი*

# ტორპედო: დინამოსთან ვართ!

## განტოლება, რომლის ამოხსნაც სარბიელმა კლუბებს სთხოვა

GFF + 2004 FOOTBALL CLUB „ZESTAFONI" = X

*მესამე გვერდი*




ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი ხიდეშელი, ბექა გოცირიძე, კობა ჟორჟიკაშვილი, ნოდარ ახალკაცი, სანდრო ცნობილაძე, გიორგი განუგრავა და რატი წინამძღვრიშვილი

# ნოდარ ახალკაცი ნაკრებზე, 19-წლამდელებზე, სასამართლოზე, ქირესზე, ბანქოსა და რესტორნებზე...

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უცხოური მივლინებიდან თბილისში გუშინ დაბრუნდა და პრესკონფერენციაც გამართა. ვფიქრობდით, რომ ნოდარ ახალკაცი იმ ბოლოდროინდელ ამბებზე ილაპარაკებდა, რომლებიც ფედერაციას გულგრილს ვერ დატოვებდა. კერძოდ, საქართველოს ჩემპიონის, თბილისის „დინამოს" პროტესტს ფედერაციის მიმართ, „ზესტაფონს" მფარველობთო...*

*ნოდარ ახალკაცი კი საკონფერენციო დარბაზში საქართველოს 19-წლამდელთა მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილთან და ფეხბურთელებთან — ბექა გოცირიძესთან, რატი წინამძღვრიშვილთან, გიორგი განუგრავასთან და გიორგი ხიდეშელთან ერთად შემოვიდა. გეხსომებათ, 19-წლამდელებმა ერთი კვირის წინ ტალინში ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი მოიგეს და, ცხადი გახდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი მეტწილად ჭაბუკთა წარმატებაზე ისაუბრებდა, მით უმეტეს, დასაწყისშივე გვითხრა, რომ ეროვნულ გუნდზე დაწვრილებით 23-ში ვილაპარაკოთ, პარასკევს, ყაზახეთთან და საბერძნეთთან შესარჩევი მატჩებისთვის შემადგენლობასაც გამოვაცხადებთო.*

*პრესკონფერენცია თავიდან მართლაც 19-წლამდელთა წარმატებზე თხრობით დაიწყო, თუმც მერე ცოტა ეროვნულ გუნდზე და „დინამო"-ფედერაციის დაპირისპირებაზეც ითქვა.*

*კობა ჟორჟიკაშვილი:* ტალინური გამარჯვება მთელი საქართველოსია, ახალი ფედერაციისა და მისი ხელმძღვანელობის წარმატებაა. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და პირველი შესარჩევი ეტაპიც ერთად მოვიგეთ. გაჭირვებით არც ერთ მეტოქესთან გაგვჭირვებია, თუმც სლოვენიას ესტონეთზე და ლიტვაზე კარგი გუნდი ჰყავდა. მე და გაიოზ დარსაძე კონკრეტული მატჩისთვის ტაქტიკა-სტრატეგიას ერთად ვარჩევდით და თამაშისას გუნდს ერთად ვხელმძღვანელობდით. ეს თაობა ხომ, ფაქტობრივად, გაიოზ დარსაძის აღზრდილია და მათი ავანჩავანი კარგად იცის.

*ეს იყო და, სიტყვა აიღო ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა**, რომელმაც ძველი ფედერაციის დანატოვარზეც საკმაოდ ვრცლად ისაუბრა და მერე... ნოდარ ახალკაცის სიტყვებს თავიდან ბოლომდე საგაზეთო ფართობის სიმწირის გამო ვერ შემოგთავაზებთ, თუმც მთავარი აგერ, ქვემოთ იხილეთ...*

— თბილისში არ ვიყავი და ზუსტად არ ვიცი, ფედერაციის მისამართით გაზეთებში რა კრიტიკული მოსაზრებები იწერებოდა. თუმც, ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ წასული ვიყავი. გამთენიისას ჩამოვედი, გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს გავეცნობი და ჩემს პოზიციასაც ამის შემდეგ დავაფიქსირებ. ისე კი, გეტყვით, რომ არჩევიდან დღემდე, სამი თვე, იმ საქმეებით ვიყავი დაკავებული, რაც ფედერაციის პრეზიდენტმა არ უნდა აკეთოს.

— სამთავრობო სტრუქტურებთან გასარკვევს გავარკვევთ, პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. უახლოეს დღეებში კი ყველა დაინახავს, რომ ფედერაციის საქმიანობა არის გამჭირვალე და ყველას ყველაფერზე ხელი მიუწვდება. ქართული ფეხბურთი მთელი საქართველოს სიამაყეა.

— სამთავრობო სტრუქტურებთან ფედერაციას არანაირი კონფლიქტი არ აქვს. გასაგებია და მივესალმები იმ ფაქტს, რომ ხელისუფლება ქართული ფეხბურთის განვითარებით დაინტერესებულია. საქართველოს ეროვნული გუნდი ადრე კანტორა იყო, ჩვენ კი ამ სტერეოტიპს ვამსხვრევთ.

— დანიაში მარცხის შემდეგ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელთან დიდხანს ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ ეროვნულ გუნდში ბევრი რამ შეიცვლება. და რა შეიცვლება, ამას უახლოეს მომავალში შეიტყობთ...

*ეროვნულ გუნდში ყაზახეთ-საბერძნეთთან მატჩებისთვის რა შეიცვლება, ზუსტად ვერ გეტყვით, თუმც ამბობენ, რომ ფედერაცია და ნაკრების მწვრთნელი გაიოზ დარსაძე, უფულობის გამო, ამ ორი თამაშისთვის მთლიანად განახლებული, ანუ ულეგიონერო შემადგენლობის გამოძახებას აპირებენო...*

— ამას წინათ საბერძნეთიდან დამირეკეს და მითხრეს, ათენურ მატჩში ერთ-ერთმა ფეხბურთელმა საქართველოს ნაკრებში აუცილებლად უნდა ითამაშოს, რათა მას უცხოურ კლუბებში სათანადო რეკომენდაცია ჰქონდესო. რა ვუპასუხე, ეს ჩემი საქმეა, მაგრამ ერთს გეტყვით, ნაკრები კანტორა აღარ იქნება.

— სხვათა შორის, მაროკოში ყოფნისას იორდანიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთ შევხვდი და გადავწყვიტეთ, რომ 16 ნოემბერს იორდანიის ნაკრები გვესტუმრება.

— დანიაში საქართველოს ნაკრების გამგზავრება ფედერაციის სპონსორმა „ფერომ" უზრუნველჰყო. თანხა ფედერაციას სპონსორისგან ერგებოდა და თუ მატჩზე სამი დღით ადრე გამგზავრებით ხარჯი გაიზარდა, ეს იმის გამო მოხდა, რომ ეროვნული გუნდისთვის ფულს არასოდეს დავზოგავთ.

— ალენ ჟირესმა ფედერაციიდან 550 ათასი დოლარი მიიღო. არ ვფიქრობ, რომ ქართულ ფეხბურთს მხოლოდ უცხოელი გადაარჩენს. ჟირესის ნაკრებიდან დათხოვნით ქართულმა ფეხბურთმა მიშელ პლატინის სახით მტერი კი არა, შესაძლოა, მოყვარე შეიძინა. პლატინის მაროკოში შევხვდი და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად საკმაო ხანს ვისაუბრეთ. პლატინიმ გვითხრა, ჟირესის ამბავი დაივიწყეთო.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელის საკითხზე უახლოეს მომავალში ჩამოვყალიბდებით. ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობებს გადავხედავთ...

— ჩვენ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს თვითმფრინავში ბანქოს თამაში ავუკრძალეთ. გაინტერესებთ რატომ? ისინი ფულზე თამაშობდნენ და ეს მატჩის წინ გუნდზე უარყოფითად მოქმედებს. მაგალითად, ბანქოში მოგებულ ფეხბურთელს შესაძლოა თამაშისას მეტოქემ აჯობოს, ბანქოში წაგებულმა კი ის ეგებ არ დააზღვიოს, იფიქროს, მან ხომ ბანქოში ფული მომიგოო...

*ახლა კი „დინამოს" თემა: ნოდარ ახალკაცის აზრით, „დინამოს" მმართველი დირექტორი „ზესტაფონს" თავად ლობირებს, კლუბისგან მსაჯების რესტორანში დაპატიჟება ჩვეულებრივი ამბავია და საერთაშორისო ეთიკეტით ეს მისაღებია. და კიდევ: ფედერაციის პრეზიდენტი „დინამოს" ხელმძღვანელობის სიტყვების უპასუხოდ დატოვებას არ აპირებს, და ამ საქმის შესაბამის ორგანოებში გარჩევას აპირებს.*

*მაშ ასე, ნოდარ ახალკაცი „დინამოზე" ამბობს:*

— არ ვფიქრობ, რომ „დინამოს" განცხადება და ჩემი უცხოეთში ყოფნა დამთხვევაა. აუცილებლად შევხვდები „დინამოს" მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილს. იქნება შთაბეჭდილება, რომ „დინამოს" ხელმძღვანელები გუნდის უსუსური თამაშის შესანიღბად ბადრი პატარკაციშვილს სხვა სურათს უხატავენ.

— როცა „დინამოს" მმართველი დირექტორი ამბობს, რომ ფედერაცია „ზესტაფონს" ლობირებს, გამოდის, რომ ამ კლუბის ლობისტი თავად არის, ვინაიდან, ის ფედერაციის აღმასკომის წევრია, აღმასკომი კი ფედერაციის მმართველი ორგანოა.

— ფეხბურთის ფედერაციაში არის სადისციპლინო კომიტეტი, რომელიც „დინამოს" განცხადებებზე იმსჯელებს და შესაბამის დასკვნას გააკეთებს. პიროვნების შეურაცხყოფა კი სახელმწიფოს პრეროგატივაა და, რადგანაც, საბედნიეროდ, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც კანონი კანონობს, „დინამოს" სიტყვებს უპასუხოდ არ დავტოვებ. პიროვნების შეურაცხყოფა სისხლის სამართლის საქმეა.

— იცით, რა გავაკეთეთ? „ზესტაფონს" ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა ჩემპიონატის დაწყებამდე წინ გადავახდევინეთ, „დინამოს" თანხას კი მაშინ ავიღებთ, როცა კლუბს უეფა გადაურიცხავს. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობისთვის „დინამოს" უეფასგან გარკვეული თანხა ერგება, რომელსაც გაზაფხულზე გადმორიცხავენ.

— „დინამოს" ვეთანხმები, რომ კობა ჟორჟიკაშვილი „ზესტაფონის" ერთ-ერთი მწვრთნელია, გაიოზ დარსაძე კი, როგორც ფედერაციის ტექნიკური დირექტორი, „ზესტაფონს" ფიზიკურად ამზადებდა.

— ფედერაციას „ფეროსგან" სპონსორული ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე ოფიციალური დასტური ჯერ არ მიუღია.

*და ბოლოს, ახალკაცი მსაჯებსა და რესტორნებზე:*

— „დინამო" ამბობს, რომ მსაჯებს რესტორანში არ პატიჟებს. კლუბმა მსაჯები რესტორანში რომ დაპატიჟოს, ეს ჩვეულებრივი ეთიკეტია და ყველა ქვეყანაში ასეა. ყოველ შემთხვევაში, მატჩის შემდეგ მაინც, მსაჯი რესტორანში უნდა წაიყვანო.

**კობა ინასარიძე**


## განცხადება

„ს.კ. ბარსელონა" (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში

„აბრეშუმის გზის კორპორაცია" ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.

გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და „ზესტაფონი" — ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის ეს თემა არახალია, მაგრამ თბილისის „დინამო" პირველი გამოდგა, რომელმაც ამ საკითხზე ღიად და ოფიციალურად ისაუბრა. და რას იტყვიან უმაღლესი ლიგის სხვა კლუბები? მათ ერთადერთი კითხვით მივმართეთ — არის თუ არა ფეხბურთის ფედერაცია სხვა კლუბებზე მეტად „ზესტაფონის" წარმატებით დაინტერესებული?*



ილია კოკაიასა და ნოდარ ახალკაცის ალიანსმა საფეხბურთო საქართველოს სალაპარაკო ბევრი მისცა

# სარბიელი კლუბებს: არის თუ არა ფეხბურთის ფედერაცია სხვა კლუბებზე მეტად ზესტაფონის წარმატებით დაინტერესებული?

***გოჩა ჟორჟოლიანი, სოხუმის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:*** არა მგონია, ფედერაცია სხვა გუნდებზე უფრო „ზესტაფონის" წარმატებით იყოს დაინტერესებული, ასეთი რამ არ შემიმჩნევია.

***გურამ რუხაძე, „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი:*** ფედერაცია თბილისის „დინამოს" არ ძირავს, ხოლო, რაც შეეხება „ზესტაფონს", თუ ჩემპიონატში მისი სატურნირო მდგომარეობით ვიმსჯელებთ, ფედერაციის მხარდაჭერა „ზესტაფონის" მიმართ ძნელი დასაჯერებელი იქნება.

***ლევან ყიფიანი, „ლოკომოტივის" მმართველი დირექტორი.*** ჩემპიონატის სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ ფედერაცია „ზესტაფონის" წარმატებით სხვა გუნდებზე მეტადაა დაინტერესებული, თუმცა მსგავსი ხმები ჩემამდეც მოდის. ყოველ შემთხვევაში, „ლოკომოტივი" ფედერაცია-„ზესტაფონის" ურთიერთობით არ დაზარალებულა, მომავალში რა იქნება, არ ვიცი. ისე კი, თბილისის „დინამომ" რაც თქვა, ალბათ ამის საფუძველი ჰქონდა.

***დავით სილაგაძე, „სიონის" დირექტორატის წევრი.*** რაც ფაქტია, იმას გეტყვით: ფედერაცია „ზესტაფონის" წარმატებით რომ იყოს დაინტერესებული, ეს კლუბი სატურნირო ცხრილში უფრო მაღლა იქნებოდა. ისე კი, ფედერაციასა და „ზესტაფონს" რაღაც-რაღაცებში, ალბათ, საერთო ინტერესები აქვთ. ამბობენ, „ზესტაფონის", „ბორჯომისა" და „თბილისის" კოალიციაა შექმნილიო, მაგრამ... გეკითხებით, თუ ასეა, „ბორჯომმა" რატომ მოუგო „ზესტაფონს"?..

***ვახტანგ ბზიკაძე, „ამერის" გენერალური მენეჯერი:*** ნოდარ ახალკაცს ბოლო რიგგარეშე ყრილობაზე არ დაუფარავს საკუთარი სიმპათიები „ზესტაფონის" მიმართ, რომელმაც მისი კანდიდატურა ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში წარადგინა. რაც შეეხება ინტერესს, „ზესტაფონის" ამჟამინდელ შედეგებზე განსაკუთრებული მხარდაჭერა არ ასახულა.

***სოსო ფრუიძე, „ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი:*** რთული კითხვაა, რომელზედაც პასუხის გაცემა ძნელია. მაშინ დამამტკიცებელი საბუთი უნდა გქონდეს. „დინამო" ამბობს, მსაჯები გვჩაგრავენო. რა გითხრათ. მაგალითად, ჩვენ არ ვგრძნობთ, რომ მსაჯები განგებ „გვწვავენ". გუშინ ვეთამაშეთ „ზესტაფონს" და ვფიქრობ, ნორმალური მსაჯობა იყო. გარდა ამისა, „ზესტაფონის" „თბილისთან" მატჩიც ვნახე და მსაჯების ზესტაფონელებისადმი სიმპათია ვერც იქ შევამჩნიე.

***სოსო ფილია, „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი:*** ვერ გეტყვით, მართლა ასეა თუ არა. ისე კი, რაღაც ნიშნები ჩანს, თუმც დამტკიცება ძნელია. ყურმოკვრით ვიცი, რომ ნოდარ ახალკაცი „ზესტაფონის" ვარჯიშებზე დადიოდა, მაგრამ, როცა საქმეში ჩახედული არ ხარ, ძნელია პასუხის გაცემა".

***ზურაბ ჯაფარიძე, „ბათუმის" მმართველი დირექტორი:*** არ ვერევი სხვის საქმეში და არც მაინტერესებს, მაგრამ ერთიცაა, ამის თაობაზე ლაპარაკობენ და მეც ბევრი გამიგია. მეტი არაფერი ვიცი.

***როლანდ ჩხაიძე, „სპარტაკის" პრეზიდენტი:*** კითხვაზე პასუხს მაშინ გაგცემთ, როცა ზესტაფონში ვითამაშებთ. „ზესტაფონს" 25-ში ვეთამაშებით და იმედი მაქვს, მოვუგებთ. ჯერჯერობით კი, მე არაფერი შემიმჩნევია. რაიმე ხელმოსაჭიდი საბუთი რომ მქონდეს, კიდევ შეიძლებოდა ამაზე ლაპარაკი. ვიმეორებ, 25 სექტემბერს რომ ვითამაშებთ, ჩემი თვალით დავინახავ ყველაფერს".

***ვლადიმერ ხაჩიძე, „დილას" მთავარი მწვრთნელი:*** „საქმის კურსში არ ვარ, დეტალები არ ვიცი. ასე რომ, გარედან ძნელია რაიმეს თქმა. პასუხს ვერ გაგცემთ".

***გრიგოლ ხურციძე, „ტორპედოს" პრეზიდენტი:*** ადრეც ჩანდა, რომ ფედერაცია „ზესტაფონს" უნდა დახმარებოდა და ამაში უკვე ეჭვი აღარც მეპარება. აბა, „ფერო" ინახავს საქართველოს ნაკრებსაც და ვინ დაიჯერებს, რომ ფედერაციისგან სარგებელს არ იღებს?! მოკლედ, „დინამოს" პოზიციას ასი პროცენტით ვეთანხმები და ჩათვალეთ, რომ აბსოლუტურად იგივეს ვფიქრობ მეც.

***გოჩა თამაზაშვილი, „თბილისის" პრეზიდენტი:*** ჩვენი გუნდის მიმართ არანაირ ზეწოლას არ ვგრძნობთ, მათ შორის არც მსაჯობის მხრიდან.

***ოთარ კორღალიძე, „კახეთის" მთავარი მწვრთნელი:*** ეს საკითხი მაინცდამაინც არ მაინტერესებს და ვფიქრობ, რომ ფედერაციის მიმართ ასეთი ბრალდება თითიდანაა გამოწოვილი.

***ზურაბ ნასუაშვილი, „ცხინვალის" უფროსი:*** არა მგონია, „ზესტაფონს" ჩემპიონობაზე ქაჩავდნენ. ნოდარ ახალკაციც და ილია კოკაიაც სერიოზული პიროვნებები არიან. „ზესტაფონი" ჩვენც შეგვხვდა, ბრძოლაში მოგვიგო და მსაჯისგან ზეწოლა არ გვიგრძვნია. კარგია, თუ ეს სკანდალი მალე ჩაიფარცხება. ზესტაფონელებსაც კარგი გუნდი ჰყავთ და „დინამოსაც", ორივემ ერთად უნდა აკეთონ ქართული ფეხბურთის საქმე.

## სუპერსიონი

### ბოლნისში სამ მილიონს გადაამუშავებენ

**ბოლნისის** „სიონი" მალე, ალბათ, ყველაზე შეძლებული ქართული კლუბი იქნება. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ ხსენებული ნიშანია. და არ გაიკვირვოთ ბოლნისში ქართული სუპერკლუბი თუ ჩამოყალიბდა.

საქმე ისაა, რომ გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა სააქციო საზოგადოება „მადნეულის" აუქციონზე გაყიდვის თაობაზე და ამ საწარმოს ყიდვის მსურველებმა შესაბამისი განაცხადები 25 ოქტომბრამდე უნდა წარადგინონ. ამ ყიდვა-გაყიდვის პროცესში კი საინტერესო ისაა, რომ „მადნეულის" ახალი პატრონი ავტომატურად გახდება საფეხბურთო კლუბ „სიონის" პატრონიც და ვალდებული იქნება, კლუბს წელიწადში 3 მილიონი დოლარი მოახმაროს. აი, ასეთი პირობების დაკმაყოფილებაც მოუწევს „მადნეულის" შესყიდვის მსურველს.

დღესდღეობით კი, „სიონს" ბოლნისის რაიონის გამგეობა და „მადნეული" ერთად პატრონობენ, აქციები მათ სანახევროდ აქვთ გაყოფილი, თუმცა დანახარჯი 3 მილიონ დოლარს სულაც არ უტოლდება.

და კიდევ: როგორც ვიცით, სამმილიონიანი ბიუჯეტი დღესდღეობით არც ერთ სხვა ქართულ კლუბს არ აქვს.

კობა ინასარიძე

## პფლ და ჩვენი ფეხბურთი

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის მე-7 ტურიდან (24.09.2005) გაიმართება ინტერნეტ-თამაში „ჩემი ფეხბურთი „კოკა-კოლასთან" ერთად". მონაწილეებს ყველას ელის საინტერესო პრიზები და ფულადი ჯილდოები. სეზონის ბოლოს გამარჯვებულს მთავარი პრიზი — 500 ლარი გადაეცემა, II-V ადგილებზე გასულები კი 100-100 ლარს მიიღებენ. თამაშის მსურველებს უკვე შეუძლიათ დარეგისტრირდნენ და 24 მაისამდე აირჩიონ სასურველი შემადგენლობა.

ახალ სეზონში შემოღებულია ზოგიერთი საინტერესო სიახლე. კერძოდ, თამაშში მხოლოდ რეალური მომხმარებლების მონაწილეობის მიზნით, გადაწყდა რეგისტრაციის ახალი ფორმით განხორციელება: ვებ-გვერდზე პირადი მონაცემების დადასტურების შემდეგ მომხმარებელს მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე ეგზავნება შეტყობინება რეგისტრაციის გააქტიურების შესახებ. აგრეთვე მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, თამაშის სტატისტიკის გვერდზე მოყვანილი იქნება საუკეთესო ოცეულის გუნდების შემადგენლობები განვლილ ტურში, ხოლო ფეხბურთელების პრაის-ლისტს დაემატა გრაფა, რომელშიც მითითებულია ფეხბურთელის მიერ ბოლო ტურში დაგროვილი ქულა.

იმედი გვაქვს, თამაში მიმდინარე სეზონშიც საინტერესო და პოპულარული იქნება. გისურვებთ წარმატებებს!

*საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეს-სამსახური*

## თქვენი ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

### «ფრაიბურგი» გერმანია

*ხომ გაინტერესებთ, რა ხდება დღეს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული ალექსანდრე იაშვილი? ჰოდა, მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რუბრიკა ისევ „ფორმაშია": გერმანული „ფრაიბურგის" კაპიტანი უკვე ელის თქვენთვის საინტერესო კითხვებს, რომლებიც 30 სექტემბრამდე უნდა მოგვაწოდოთ. ასე რომ, იაქტიურეთ...*



მოგვმართეთ *ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა:* **Starmail@Caucasus.net**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

6 ტური მიმოხილვა

# სკანდალოზანა

## ცხრილი დრამას გვკარნახობს

*ძალიან უცნაური რამაა საქართველოს ჩემპიონატი — თუ გულს დაუდებ, ევებ თვალი მიიზიდოს, ალაგ-ალაგ გამოერევა ხოლმე თვალსასეირო მატჩები, მაგრამ უმეტესობა ისეთია, ერთი ჩემი მეგობრის ნათქვამს რომ ესადაგება: რაღაც წარმოუდგენელ დონეზე უნდა გიყვარდეს ფეხბურთი, საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე რომ იაროო.*

*აი, მეექვსე ტურში კი ნაღდად იყო თამაშები, ნახვად რომ ღირდა. ლამაზი გოლებიც გავიდა, სატურნირო ცხრილიც ჩაიხლართა და კიდევ, როგორც ცხრილი „გვკარნახობს", ძალიან დაძაბული უნდა გამოდგეს ჩემპიონატის ფინიში. მეტი რაღა, ლიდერთა ჯგუფში 7 თანაბარი გაქანების გუნდია და ხელაღებით ვერ იტყვი, რომელი რომელს სჯობია...*



დავით იმედაშვილის „ვიტ ჯორჯიამ" ლაშა ნოზაძის „დინამო" წამოაქცია

გაგრი კოთილაძის ფოტო

### ჩვენს უკან 80 წელი დგას

— თბილისის „დინამოს" 80-წლიანი ისტორია აქვს და ასეთი კლუბის იგნორირებას ახდენენ. რაღაზეა ლაპარაკი, ქართული ფეხბურთი ჭაობშია — ეს კახა ცხადაძემ თქვა. დინამოელთა აღშფოთების მოტივი ასეთია: ფედერაცია „ზესტაფონს" საჩემპიონოდ ქაჩავს და ჩვენ, ყველაზე მთავარ მეტოქეს, მსაჯები გვძირავენო...

### ვაიმე, რამდენი ხართ...

საქართველო მოდის ამყოლი ქვეყანაა. დღეს რომ მამაკაცმა დეკოლტე კაბა ჩაიცვას, ხვალ მიმდევრები გამოუჩნდებიან. ასეა ფეხბურთშიც, კერძოდ კი... „ბორჯომი" — „ზესტაფონის" ნამატჩევს იმერული კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პირი დაგვალებინა, დაწერეთ, რომ საშინელი მსაჯობა იყოო...

ამ კაცს თავის სფეროში არცთუ უმწიკვლო რეპუტაცია აქვს და მაინცდამაინც ვერც დიდი ცოდნით დაიკვეხნის, მაგრამ საქართველოში ხომ ფეხბურთი ყველამ იცის — საქმე საქმეზე რომ მიდგება, ტელევიზორთან ვერ დასვამ ჩემპიონთა ლიგის მატჩების საყურებლად და მაინც რაღაცას გიხსნის, გეჩიჩინება, „მარკას იწევს".

სამწუხაროდ, ასეთი დილეტანტები და „მარიაჟები" ქართულ ფეხბურთში ცოტანი არ არიან...

### ჰაეროვანი მუმლაძე

„ვიტ ჯორჯია" ყოველთვის ენითაუწერელ სიამოვნებას იღებს „დინამოს" დამარცხებით. ასე იყო წინა ტურში მცხეთაში — ნამატჩევს „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებმა მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე ჰაერში რამდენჯერმე ატყორცნეს. თავად მუმლაძესაც განსაკუთრებული სიხარულის საბაბი ჰქონდა — იგი რამდენიმე თვის წინ გაუშვეს „დინამოდან"...

### მე ამ ტაიმს დიდხანს ველოდი

ქუთაისის „ტორპედომ", რაც წინა 5 ტურში დაიკლო, „სოხუმთან" ერთ ტაიმში ამოავსო. იმერლებმა ერთ-ერთ აუტსაიდერთან ორბურთიანი ჩამორჩენა ველარ მოითმინეს და 45 წუთში ოთხი უპასუხო გოლი გამოაცხვეს.

გაბრაზება კარგი წამალი ყოფილა..

### ეს ვილაცა ვინლაა?

კახეთში რთველის დრო დადგა. ერთი შეხედვით, თელავულ ჭარმაგ გლეხს სტადიონზე წასასვლელად არც უნდა ეცალოს, მაგრამ დახეთ, „გივი ჩოხელზე" 5000-6000 მაყურებელი დადის. ამ დროს გულში გაგვკენწლა „კახეთის" თავკაც ოთარ კორღალიძის ნათქვამმა, ვიღაცას არ მოსწონს, თელავში ფეხბურთი რომ ცოცხლობსო.

კიდევ არსებობენ ასეთი „ვიღაცები"?..

### თავდამსხმელის „ობრეზი"

საქართველოს ჩემპიონატში ნესტას და ტერის დარი მცველები არ თამაშობენ, მაგრამ საცოდაობაა, როდესაც „ცხინვალის" მწვრთნელ ივანე თაყაძის ნათქვამში რწმუნდები. თაყაძემ თქვა, ამერული სულიკო დავითაშვილის დამჭერი მცველი ჩვენს ჩემპიონატში არ მეგულებაო.

არადა, რატომ არ უნდა ეგულებოდეს?

**ილია ნანობაშვილი**

### სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| დავით სევასტოპულო | ამერი |
| გიორგი კახილიშვილი | ლოკომოტივი |
| კოკა მიქუჩაძე | სიონი |
| რევაზ გეწაძე | ბორჯომი |
| დავით გოლქვაძე | სიონი |
| გიგა დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| გიორგი სილაგავა | ამერი |
| დავით იმედაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| დავით ბაძრაძე | ბორჯომი |
| პავლე დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| გრიგოლ ბედიაშვილი | ვიტ ჯორჯია |

გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 5 | ქორიძე | ბორჯომი |
| 4 | დგალი | სიონი |
| 3 | მეგრელაძე | დინამო |
| | ქუთათელაძე | კოლხეთი |
| | პახელიშვილი | ლოკომოტივი |
| | დოლიძე | სიონი |
| | მიქუჩაძე | სიონი |
| | მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| | რუსია | სოხუმი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:3 | 16 |
| ბორჯომი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:3 | 15 |
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| ამერი | 6 | 4 | 1 | 1 | 6:4 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 10 |
| ზესტაფონი | 5 | 3 | 0 | 2 | 4:3 | 9 |
| დილა | 6 | 3 | 0 | 3 | 6:5 | 9 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 3:5 | 9 |
| ბათუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 2:4 | 7 |
| ცხინვალი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:5 | 6 |
| კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| ტორპედო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:7 | 4 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 1 | 4 | 1:4 | 4 |
| სოხუმი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | 4 |
| თბილისი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:12 | 0 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ამერი" თბილისი | ამერი 1:0 ცხინვალი | 9,5 | 8,5 | 9,5 | 9,1 |
| „ტორპედო" ქუთაისი | ტორპედო 4:2 სოხუმი | 8,5 | 7,5 | 9,0 | 8,3 |
| „თამაზ სტეფანია" ბოლნისი | სიონი 4:1 კახეთი | 8,0 | 7,0 | 7,5 | 7,5 |
| „არმაზი" მცხეთა | ვიტ ჯორჯია 1:0 დინამო | 7,5 | 8,0 | 4,5 | 6,6 |
| „ოლიმპი" თბილისი | ბორჯომი 1:0 ზესტაფონი | 9,5 | 7,0 | 3,5 | 6,6 |
| „შევარდენი" თბილისი | სპარტაკი 1:0 თბილისი | 8,5 | 5,5 | 4,5 | 6,1 |
| „თენგიზ ბურჯანაძე" გორი | დილა 2:0 ბათუმი | 7,0 | 6,0 | 4,5 | 5,8 |
| „მიხეილ მესხი" თბილისი | ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი | 8,5 | 6,5 | 2,0 | 5,6 |

### მომდევნო ტური

24 სექტემბერი, შაბათი

დინამო – ბორჯომი

25 სექტემბერი, კვირა

ბათუმი – ამერი

კოლხეთი – დილა

სოხუმი – ლოკომოტივი

კახეთი – ტორპედო

ზესტაფონი – სპარტაკი

26 სექტემბერი, ორშაბათი

თბილისი – სიონი





კარლო ანჩელოტი



ლუიშ ფელიპე სკოლარი





რაფაელ ბენიტესი



ხავიერ ირურეტა

*რეალში ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგოს მწვრთნელობა ბეწვზე ჰკიდია. სამეფო გუნდმა ესპანურ პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ სამი თამაში წააგო და თუ ლუშემბურგოს მოწაფეებს დღეს „ბილბაოსთან“ ან პრიმერას მომდევნო ტურში „ალავესთან“ ფეხი დაუცდებათ, კლუბის პრეზიდენტი პერესი ოკეანისგაღმელს თავკაცობას უცილობლად ჩამოართმევს*

# მადრიდში ლუშემბურგოს შემცვლელს ეძებენ

**ესპანეთის სატახტოში** ლუშემბურგოს სავარაუდო შემცვლელები უკვე შეურჩევიათ — რაფაელ ბენიტესი, კარლო ანჩელოტი, ლუიშ ფელიპე სკოლარი ან ხავიერ ირურეტა — აი, ამ მაგიური ოთხეულიდან რომელიმე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უიღბლო „ლუშეს“ მემკვიდრე გახდება. ესპანური მედიის ცნობით, სენიორ პერესის შტაბმა ახალი დამრიგებლის ძებნაზე ზრუნვა უკვე „ლიონთან“ სამარცხვინო მარცხის (3:0) შემდეგ დაიწყო.

უპირველეს ყოვლისა, გალაქტიკოსებმა „ლივერპულის“ მადრიდელი სპეციალისტი რაფაელ ბენიტესი გაიხსენეს, მაგრამ რახან რაფამ ახლანდელი „ლივერპულის“ ჩამოყალიბებას წელიწადზე მეტი შესწირა, „რეალში“ მისი გადაბარგება ვინძლო უტოპია იყოს — ბენიტესი „ენფილდის“ „წითლებს“ სულ ცოტა მომავალ სეზონამდე არ მიატოვებს. დაახლოებით ასეა „მილანის“ კარლო ანჩელოტის საქმეც — ზაფხულამდე იტალიელის „ბერნაბეუზე“ გამწვრთნელება არაფრით მოხერხდება. რა თქმა უნდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ანჩელოტის თავად „მილანის“ უფროსობა არ დაითხოვს. რჩება ორი მეტ-ნაკლებად რეალური ვარიანტი — „დეპორის“ ექსლეგენდა და ამჟამად უმუშევრად მყოფი ირურეტა და პორტუგალიის ნაკრების სახელგანთქმული მწვრთნელი, ადრე ბრაზილიის ეროვნული გუნდისთვის მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონობის მომტანი ლუიშ ფელიპე სკოლარი.

„ხავიერ ირურეტა „რეალს“ ყველაზე ბოლოს ჰყავს შემონახული. მოგეხსენებათ, „ირუნდარა“ დაუმორჩილებელი ხასიათით გამოირჩევა, ასეთი ხალხი კი ფლორენტინო პერესს არ უყვარს. ხავიერს ყველა სხვა ვარიანტის ჩავარდნის მერე გაიხსენებენ“ — ეწერა ესპანური „სპორტის“ გუშინდელ ნომერში. პერესის ფავორიტი ალბათ ისევ სკოლარია. უფროსობასთან სირთულეები მასაც არ აკლია, ოღონდ არც ისეთი ამოუცნობია, როგორც ხავიერ... თან სკოლარი ბრაზილიელია, ეს კი ოკეანისგაღმიდან „ბერნაბეუზე“ გადმობარგებულ თანამემამულეთა დიდი „დიასპორის“ მოთოკვაში დაეხმარება. მართალია, სერ ლუიშ ფელიპე დღეს პორტუგალიის ეროვნულ გუნდს წვრთნის, მაგრამ, როგორც გაზეთები აცხადებენ, ძალიან მსუქანი შეთავაზების შემთხვევაში წამსვე მადრიდში გაჩნდება. ერთი სიტყვით, „სამეფო კლუბში“ დიდი არეულობაა, ხოლო დამრიგებლის მოყანყალებულ სკამზე ჯერჯერობით ისევ ვანდერლეი ლუშემბურგო ზის.

**ლადო ხომერიკი**

# რივალდო პალმეირასის სამიზნეზე





**„ბარსელონას“** ძველჩაუქი ლეგენდა რივალდო ზამთარში სავარაუდოდ თავის მშობლიურ კლუბს, ბრაზილიურ „პალმეირასს“ დაუბრუნდება. როგორც ხსენებული გუნდის საინტერნეტო ვებ-გვერდი გვაცნობს, ოკეანისგაღმელები რივალდოს შეძენას დეკემბრის სატრანსფერო ბაზარზე ეცდებიან. მიუხედავად იმისა, რომ 33 წლის ვეტერანმა გასულ სეზონში „ოლიმპიაკოსთან“ ერთად საბერძნეთის თასი და ჩემპიონობა მოიგო, იგი ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის კარლოს ალბერტო პარეირას გეგმებში არ შედის.

„პალმეირასი“ ჩემთვის მშობლიური სახლივითაა. თუ იქ სათამაშოდ მივედი, დარწმუნებული ვარ, მალე ნაკრებშიც მიმიწვევენ“ — უთქვამს რივალდოს თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბარში. ბრაზილიელ მობურთალს თავის ამჟამინდელ კლუბ „ოლიმპიაკოსთან“ კონტრაქტი 2006 წელს უმთავრდება.

**ლადო ხომერიკი**





# ნუ გაფრინდები...
## იაკინტა დასაჯეს

**იტალიური** „უდინეზეს“ მესვეურებმა განსაცვიფრებელი ცნობა გაავრცელეს — ვინჩენცო იაკინტა მოკვეთილია გუნდიდან, რადგან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ამის შესახებ ოფიციალურ წყაროებს ინფორმაცია უდინელთა გენერალურმა დირექტორმა პიეტრო ლეონარდიმ მიაწოდა:

„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენს გუნდში იაკინტა ერთადერთი კაცი აღმოჩნდა, რომელსაც არც კლუბის სიყვარული ჰქონია და არც მეგობრების პატივისცემა. როგორც ჩანს, ის თავს კოლექტივის ნაწილად არ აღიქვამს და არც იმ მიზნების მიღწევა აინტერესებს, რაც ჩვენ დავისახეთ. ყველა დანარჩენმა მოთამაშემ „უდინეზესადმი“ ერთგულება კონტრაქტების განახლებით დაადასტურა, იაკინტამ კი თავისი გადაწყვეტილებით თავადვე გაირიყა თავი.

იაკინტამ ოთხშაბათს რომ არ ითამაშა, საგანგებო ამბად არ მიგვიჩნევია, რადგანაც თქვეს გაციებულიაო, მაგრამ როცა გაირკვა, რა ხდება, ამან იმდენად აღგვაშფოთა, რომ გადავწყვიტეთ, დამნაშვე მთელი სიმკაცრით დავსაჯოთ. დიახ, იაკინტა კარგი ფეხბურთელია. ამის მაგალითად თუნდაც ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩი, „პანათინაიკოსის“ კარში გატანილი ჰეთ თრიქიც გამოდგება, მაგრამ რას ვიზამთ. თუ მას არ ვუნდივართ, არც ჩვენ გვინდა. გუნდში მრავლადაა ნიჭიერი ფეხბურთელი, რომლებიც წარმატებით ჩაენაცვლებიან მას. იგი კი იჯდეს და იფიქროს იმაზე, რაც ჩაიდინა.“

იაკინტას „უდინეზესთან“ მოქმედი კონტრაქტი 2007 წლის ივნისამდე აკავშირებს.

**ზურაბ გოცირიძე**

# რუი ჟორჟე ბოლტონში გაილაღებს

**რუი ჟორჟე,** ლისაბონის „სპორტინგის“ ყოფილი მარცხენა მცველი, მალე საბურთაოდ ინგლისური პრემიერლიგის „ბოლტონს“ მიაკითხავს პორტუგალიელი 32 წლისაა, ადრე ლუზიტანთა ეროვნული გუნდის წევრიც გახლდათ და „სპორტინგიდან“ წასვლის მერე თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

„ინგლისში თამაში ყოველთვის მინდოდა, რადგან იქ უფრო სწრაფ და ლაღ ფეხბურთს თამაშობენ“ — აღნიშნა რუი ჟორჟემ „მირორთან“ ინტერვიუში. ლისაბონელთა ძველი უკანახაზელი ზამთრის სატრანსფერო ბაზარს არ უნდა დაელოდოს იმისთვის, რომ ბოლტონურ ლაღ თამაშში ჩაერთოს. როგორც მოგახსენეთ, ჟორჟე თავისუფალი აგენტია.

„ბოლტონის“ ესპანელმა ლეგიონერმა ივან კამპომ კი ვარჯიშისას ფეხი მოიტეხა და დაახლოებით ორი თვე ველარ ითამაშებს.





**ლადო ხომერიკი**

# ინტელიგენტები, ზრდილობა და წყენა


კრისტიან პანუჩი


მარჩელო ლიპი

**ვეტერან** იტალიელ მცველს კრისტიან პანუჩის მიაჩნია, რომ მარჩელო ლიპი მას ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ იმიტომ არ იძახებს, რომ ადრე, 1999-00 წლებში „ინტერში“ ერთად ყოფნისას მათ არცთუ იდეალური ურთიერთობა ჰქონდათ.

„ჩემი აზრით მიზეზი სწორედ ეს გახლავთ. ლიპი იმ პერიოდს ვერ ივიწყებს და ამის გამო ვერ მამჩნევს. საბედნიეროდ, მე აღზრდა და ზრდილობა მეყო, რომ ყოველგვარი უსიამოვნება დამევიწყებინა. ახლა ეს უკვე წარსულია. ძალიან ცუდია თუ იგივე ლიპიმ ვერ შეძლო“ — განაცხადა ცოტა ხნის წინ „რომაში“ მოთამაშე ვეტერანმა.

„სკუადრა აძურას“ თავკაცი კი ირწმუნება, რომ მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ტაქტიკური მონახაზით არის გამოწვეული და ანტიპათია არაფერ შუაშია.

მარჩელო ლიპი: „პანუჩი მართალია, ხალხს რომელიც წყენას გულში იტოვებს ინტელიგენტი არ ჰქვია და ეს მათ ცუდად ახასიათებს. თუმცა კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ გადაწყვეტილებას მხოლოდ ტაქტიკური მონახაზის გათვალისწინებით ვიღებ. ამჟამად კრისტიანი ჩემს სქემაში არ ჯდება“.

პანუჩისა და ლიპის „საქმე“ ბოლო დროს იმიტომ ამოტივტივდა, რომ იტალიის ნაკრებს მარჯვნივ ანუ პანუჩის პოზიციაზე პრობლემები შეექმნა. ლიპის ფავორიტი დანიელე ბონერა ფორმაში არ არის, რადგანაც ტრავმა ცოტა ხნის წინ მოიშუშა, ხოლო პალერმოელმა კრისტიან ძაკარდომ ჯერჯერობით მოლოდინი ვერ გაამართლა. სავარაუდოდ ლიპი ამ პოზიციას ლაციოელ მასიმო ოდოს ანდობს.

**ძოძი ძანდელაკი**

# რა კრიზისი, რის კრიზისი?


ფაბიო კაპელო

„იუვეს“ დამრიგებელ ფაბიო კაპელოს სისულელედ მიაჩნია მოარული ხმები მათი მთავარი კონკურენტის, „მილანის“ კრიზისის შესახებ.

„როსონერიმ“ მიმდინარე სეზონში მართლაც უფერულად დაიწყო, სამ შეხვედრაში მხოლოდ ოთხი ქულა დააგროვა, მაგრამ კაპელო, რომლის გუნდი სანსიროელ კონკურენტს ხუთი ქულით ასწრებს, თვლის, რომ ეს დროებითი მოვლენაა.

„სულაც არ ვფიქრობ, რომ მათ კრიზისი დაეწყოთ, ჩემპიონატი გრძელი ტურნირია და ძლიერ გუნდს ყოველთვის ძალუძს ცუდი სტარტით გამოწვეული ქულათა დეფიციტის აღმოფხვრა“ — აღნიშნა კაპელომ.

„მილანმა“ გასულ კვირას „სამპდორიასთან“ წააგო.

კაპელომ კი დასძინა: „ჯერ ჩემპიონატის დასაწყისია. ამიტომაც მგონია, რომ „მილანის“ კრიზისზე საუბარი გადამეტებულია. ამ გუნდს ამოუწურავი პოტენციალი გააჩნია. დარწმუნებული ვარ, შავ-წითლები თავიანთ თამაშს მალე იპოვიან და საუკეთესო ფორმასაც მიაღწევენ“.

**ზურაბ გოცირიძე**

# უბრალოდ, ჟო...

„**კორინთიანსის**“ 18 წლის ფორვარდი ჟოაო ალვეშ და ასის სილვა, ანუ უბრალოდ ჟო, როგორც მას ბრაზილიის ჩემპიონატში იცნობენ, გაისად მოსკოვის ცსკა-ში ითამაშებს. გუშინ ჟო თავის ადვოკატებთან ერთად რუსთა დედაქალაქში გახლდათ და, როგორც იქაური პრესა იუწყება, არმიელებთან წინასწარ შეთანხმებაზე მოაწერა ხელი. ყმაწვილი ალვეშ და სილვა ცსკა-ში 2006 წლის 1 იანვრიდან გადაბარგდება და ეცდება, გზით გახურებული სამშობლოს მერე რუსეთის გაყინულ მინდვრებზე სცადოს ბედი. ჟოაოთი ლისაბონის „ბენფიკას“ თავკაცებიც დაინტერესდნენ, ოღონდ მაშინ პორტუგალიური კლუბისა და ყოვლისშემძლე კია ჟურაბჩიანის („კორინთიანსის“ ფინანსურ საქმეთა განმრიგე) ხალხს შორის მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ახალგაზრდა მოეიერიშე ჯერჯერობით ბრაზილიის ჩემპიონატში თამაშს ვერ ახერხებს, ტრავმირებულია.

**ლადო ხომერიკი**

# ძანკი ჩავარდა

**იტალიური** „მესინას“ მცველს მარკო ძანკის სერიოზული სასჯელი ელის. ფეხბურთელი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა და ახლა განაჩენს ელის. იგი სერია A-ს პირველ ტურში „ლაციოსთან“ მატჩის შემდეგ გასინჯეს და სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს.

ეს ინფორმაცია გუშინ საღამოს იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა დაადასტურა. თავად ფეხბურთელსა და „მესინას“ წარმომადგენლებს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებიათ. ძანკის სავარაუდოდ რამდენიმე თვიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდება.

**ბექა ცაგარეიშვილი**





# კრუზი ინტერის ერთგულია

„**ინტერის**“ არგენტინელი თავდამსხმელი ხულიო კრუზი კარიერის გაგრძელებას კვლავაც „სან სიროს“ გრანდში აპირებს. კრუზს „ინტერნაციონალესთან“ საკონტრაქტო შეთანხმება 2006 წლისთვის უმთავრდება, თუმც აპენინური სპორტული მედიის თქმით, პატაგონიელი მოიერიშე ისევ თავის ძველ გუნდში დარჩენაზე ფიქრობს. კრუზმა ამ სეზონში სერია A-ში თამაში წარმატებით დაიწყო, მეტოქეებს 4 მშვენიერი ბურთიც „აჩუქა“, რის გამოც მისი საფეხბურთო . აგენტი „კორიერე დელო სპორტთან“ ინტერვიუში არგენტინელის ჯამაგირის გაზრდასაც შეეხო.

„ხულიო შესანიშნავად გრძნობს „ინტერში“ თავს და სხვა გუნდში გადასვლას ამიტომაც არ ვგეგმავთ. თუმც მართებული იქნება, თუ კლუბის ხელმძღვანელობა მას ხელფასს გაუზრდის, იგი დღევანდელ ჯამაგირზე გაცილებით მეტს იმსახურებს“ — განაცხადა ხორხე ცოსტერპილერმა, მობურთალის წარმომადგენელმა.

სენიორ ხორხეს ჟურნალისტებთან არც სხვა კლუბების დაინტერესება დაუმალავს: „უკვე რამდენიმე ევროპულმა გუნდმა მოგვმართა, თუმცა გარწმუნებთ, ხულიო უახლოეს მომავალში „ინტერს“ არ მიატოვებს...“

**ლადო ხომერიკი**

## ბელგია

**იუპიტერლიგა. VII ტური**

**შარლერუა 0:1 სენტ ტრუიდენი**

0:1 სტოლიცა (47)

**გენტი 2:1 ბრიუსელი**

1:0 ბუსუფა (13), 2:0 გრეგორი (18), 2:1 კარგბო (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:7 | 15 |
| ანდერლეხტი | 6 | 4 | 2 | 0 | 18:6 | 14 |
| ბრიუგე | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| ვესტერლო | 6 | 4 | 1 | 1 | 9:2 | 13 |
| გენტი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 13 |
| ვარეგემი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:9 | 10 |
| შარლერუა | 7 | 2 | 4 | 1 | 6:4 | 10 |
| ლოკერენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:6 | 10 |
| სენტ ტრუიდენი | 7 | 3 | 0 | 4 | 5:7 | 9 |
| რუზელარე | 6 | 2 | 1 | 3 | 6:5 | 7 |
| გენკი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:8 | 7 |
| ბევერენი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:7 | 6 |
| ბრიუსელი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | 6 |
| ლიერსი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ბეერსხოტი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ლუვიე | 6 | 0 | 4 | 2 | 4:11 | 4 |
| მუსკრონი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | 3 |
| სერკლი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:12 | 1 |

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა. XI ტური**

**შტურმი 2:2 რაპიდი**

1:0 დ. მუჟირი (23), 1:1 რ. ბეიბლი (27), 2:1 ფილიპოვიჩი (35პ), 2:2 ვალახოვიჩი (41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 10 | 6 | 1 | 3 | 16:13 | 19 |
| პაშინგი | 10 | 4 | 5 | 1 | 13:6 | 17 |
| რაპიდი | 11 | 4 | 4 | 3 | 19:13 | 16 |
| გრაცერი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:10 | 15 |
| შტურმი | 11 | 3 | 5 | 3 | 15:15 | 14 |
| რიდი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:15 | 13 |
| ზალცბურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 11:13 | 13 |
| ტიროლი | 10 | 2 | 6 | 2 | 10:12 | 12 |
| მატერსბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:17 | 12 |
| ადმირა | 10 | 1 | 2 | 7 | 10:20 | 5 |

## იტალია

**სერია B. V ტური**

**ალბინოლეფე 0:0 მოდენა**

**ბრეშა 0:0 არეცო**

**აველინო 1:1 ბარი**

0:1 ბელავისტა (84), 1:1 დანილევიჩიუსი (90)

**ბოლონია 2:1 პიაჩენცა**

0:1 სარდო (6), 1:1 ბელუჩი (27), 2:1 კ. ამოროზო (83)

**კატანძარო 1:0 პესკარა**

1:0 პესარეზი (80ს.კ.)

**კატანია 4:1 ატალანტა**

1:0 სპინეზი (19პ), 1:1 ტერა (44), 2:1, 3:1 სპინეზი (45, 51), 4:1 კასერტა (90)

**ტორინო 0:0 კროტონე**

**ვიჩენცა 0:1 მანტოვა**

0:1 ნოსელი (44)

**ტერნანა 0:3 ჩეზენა**

0:1, 0:2 სალვეტი (19, 25), 0:3 ბერნაკი (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 13 |
| ატალანტა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:7 | 12 |
| კატანია | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 11 |
| მოდენა | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| ბრეშა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| არეცო | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 8 |
| ბოლონია | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ვერონა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| კროტონე | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ვიჩენცა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| რიმინი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 5 |
| ტრიესტინა | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| პესკარა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბარი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| კატანძარო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| პიაჩენცა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ტერნანა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| ჩეზენა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ალბინოლეფე | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| კრემონეზე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| აველინო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |

*უყურეთ და ისწავლეთ: „ლიონის" ძლევამოსილი პრეზიდენტი, ჟან მიშელ ოლა ეთიკის ეროვნულ საბჭოში გამოიძახეს, სადაც გასულ შაბათს გამართული მატჩის, „ბორდო" — „ლიონის" მსაჯის, ბრუნო დერიენის კრიტიკასთან დაკავშირებით გაესაუბრებიან*



ჟან მიშელ ოლა

# ოლა ლა!

## ...ზოგჯერ თქმითაც დაშავდების

**გავიხსენოთ**, რა მოხდა ბორდოში: მუსიე დერიენმა ბორდოელების სასარგებლოდ სამი პენალტი არ დანიშნა, მუსიე ოლამ კი იფიქრა გალმა შედავებას რა სჯობს, გამოლმა შეგრჩებაო და მატჩის შემდეგ განაცხადა ეს რა ოხრობა ვნახე, მსაჯი მასპინძლებს თავგადაკლული ემხრობოდაო.

ცნობისათვის: ის, რომ სამივე პენალტი დასანიშნი იყო სადავო არ არის.

და მაინც, ზუსტად გავიხსენოთ ოლას ნათქვამი: „დღევანდელი მსაჯობა „ბორდოს" სასარგებლოდ ცალმხრივ მოძრაობას ჰგავდა, მაგრამ ვინაიდან საქმე ბატონ დერიენს ეხება, გასაკვირი არაფერია. ჩვენ დერიენის ხელში ყველაფერს ნაჩვევი ვართ. გასულ სეზონში, „კანთან" შეხვედრაში მისი დონე ლიგა ერთის მოთხოვნებს ვერანაირად ვერ პასუხობდა".





დომენიკ როშტო 20 წლის წინ

ოლას ეს ნათქვამი ეთიკის ეროვნული საბჭოს შეფს, წარსულში საფრანგეთის დიდი ნაკრების თავდამსხმელს დომენიკ როშტოს უკვე მეტიმეტი და ზღვარგადასული ჰგონია:

„ჩვენ ამას უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. გადავწყვიტეთ მუსიე ოლა გამოვიძახოთ და იქ ვესაუბროთ. მას თავისი გამონათქვამების დასაბუთება და გამართლება მოუხდება, თუმცა მხოლოდ ის არ მობრძანდება საბჭოს წინაშე. მის გარდა იქნება „ბორდოს" ფეხბურთელი დავიდ ჯემილი, რომელმაც განაცხადა, რომ მსაჯები „ლიონს" მფარველობენ. ახსნა-განმარტება მოუწევთ სხვა ბორდოელებსაც.

**პაატუნა ძედია**

# ლონდრე







ეს შიშველი კაცი საფრანგეთის ნაკრებისა და „ლივერპულის" თავდამსხმელი ჯიბრილ სისე არ არის, იგი ცნობილი ფრანგი მორაგბე ფრედერიკ მიშელაკია. სისესა და მიშელაკს შორის, როგორც ხედავთ, სხვაობაა, თუმცა არის საერთოც — ორივემ გადაიღო აი, ასეთი ფოტო და ეს ფოტოები მოხვდა კალენდარზე, რომელსაც „სტადიონის ღმერთები" ეწოდება.

ჩვენი რეაქცია ასეთია: უფალო, შეგვიწყალე. რაც შეეხება კალენდარს, 2005-ში ასეთივე სერია 250 ათასიანი ტირაჟით გაიყიდა, ოღონდ იმ სურათებზე მხოლოდ მორაგბეები იყვნენ გამოსახულნი. მიშელაკიც მაშინდელია. 2006-ის ფოტოებზე გამოსახულთა 80 პროცენტი კი დებიუტანტია. მათ შორის ერთი ფეხბურთელია — სისე. კალენდარი საფრანგეთში, კანადასა და აშშ-ში გაიყიდება.

**პაატუნა ძედია**

# ამბავი ღარიბთა ცუდი პლაკატით

## დიდიე დეშანს ასე აღარ შეეძლო

**იცით**, რა თქვა ჟან პეტიმ, რომელიც „მონაკოში" დიდიე დეშანის დროებით შემცვლელად დანიშნეს? მან თქვა, რომ საფრანგეთის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ამ კლუბში ყველაფერი ყელში ამოუყვანეს და დასძინა, რომ დეშანის გადაწყვეტილება წასვლის შესახებ, პირველმა იცოდა.

„კვირას მე და ის დაახლოებით ორი საათის განმავლობაში განვიხილავდით მდგომარეობას. მან მითხრა, რომ სრულიად დემორალიზებულია და სამუშაოს ველარ გაუძლევება. მეტიც, მან მითხრა, რომ თავს მოტყუებულად გრძნობს"



დიდიე დეშანი და ჟან პეტი

შეგახსენებთ, დეშანმა განაცხადა, რომ „მონაკომ" მას ძირი გამოუთხარა, როდესაც წამყვანი ფეხბურთელები, ჟერომ როტენი, ფერნანდო მორიენტესი და ლუდოვიკ ჟიული გაუყიდა. ეს ამბავი მას მერე მოხდა, რაც დეშანმა გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა და დაშლას კი არა, პირიქით, შეფებისგან ახალ დანახარჯს და გაძლიერებას ელოდა.

„ვგონებ, დეშანმა დაუკმაყოფილებლობის გრძნობით დატოვა მონაკო, — განაგრძო პეტიმ, — იგი აბსოლუტურად სხვა ნოტზე იყო მომართული, ის უმაღლესი ჯილდოების მოპოვებას გეგმავდა".

როგორც პირველ წინადადებაში მოგახსენეთ, პეტი დროებით დეშანის შემცვლელის ფუნქციას ასრულებს და ამბობს, რომ, წინამორბედის ტაქტიკიდან გადახვევას არ აპირებს, თუმცა არც იმას მალავს, რომ თუ უახლოეს ხან არაფერი შეიცვლება, საგრაფოს ამაყმა გუნდმა შესაძლებელია სეზონის ბოლოს მეორე ლიგაში ამოჰყოს თავი.

„პრობლემა სიღრმისეულია. მასზე თავიდან საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაღაც სასწრაფოდ უნდა ვიღონოთ, თოროემ ცუდ დღეში ჩავვარდებით. იმედი მაქვს, რომ მომავალი უკეთესი გველის, მაგრამ ზურგით კედელთან ვართ მიყენებული" — დასძენს პეტი.

ამასობაში კი ხმა ამოიღეს „მონაკოს" ყოფილმა თუ ახლანდელმა ფეხბურთელებმაც. შესაძლოა მათმა გამოქომაგებამ დეშანსა და „მონაკოს" დიდი ვერაფერი უშველოს, მაგრამ თავისთავად საინტერესოა რას ფიქრობს ზოგი მათგანი ყოფილ შეფზე.

გაელ გივე, „მონაკოს" მცველი: „მე დიდიე დეშანს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ბუნებით ის უკანდამხევი ადამიანი არ არის. გამორიცხულია თანამდებობიდან წასვლა მისი სურვილი ყოფილიყო"

პატრის ევრა: „ასი პროცენტით ვუჭერ მხარს დეშანს. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ყველანი ერთ ნავში ვისხედით და თუ რამ ცუდი მოხდა პასუხისმგებელნი ყველანი ვართ. ფეხბურთელებს დეშანისა გვწამდა და დეშანს სწამდა ჩვენი, ფეხბურთელების. ეჭვი არ მეპარება, ერთობლივად ყველაფერს მოვაგვარებდით".

ყოფილი მონაკოელი, „ბოლტონის" ნახევარმცველი ლუდოვიკ ჟიული: „ბედნიერი ვარ „მონაკოს" ფანები დღემდე რომ მღერიან ჩემს სახელს. მათ ხელში მე კლუბის ისტორიის უდიდესი ეპიზოდის სამახსოვრო ვიქნები და ამისათვის დეშანს ვმადლობ".

და ბოლოს, აი, რა თქვა დეშანმა „მონაკოში" მწვრთნელად მისვლის პირველ და ბოლო დღეებში:

„...იქ, ტრიბუნებზე ზის ხალხი მცირე შემოსავლით, ასეთებს კი მე უდიდეს პატივს ვცემ. ამ ხალხს ეს გუნდი უყვარს, მაგრამ ჩემს ცოლს ისიც ვუთხარი, ნახავ, პირველსავე დღეს სადმე დეშანის საწინააღმდეგო პლაკატი აუცილებლად იქნება, მეთქი. ასეც მოხდა".

„...მე ამის და ასე კეთება აღარ შემიძლია".

**პაატუნა ძედია**



ლუდოვიკ ჟიული



პატრის ევრა

# ბაიერნმა თხუთმეტი გადაიარა

## გერმანია

### ბუნდესლიგა. VI ტური

**აინტრახტი 0:1 ბაიერნი**

0:1 გერერო (72)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ვასოსკი, რემერი, შპიხერი, პრეუსი (ოხსი 76), კოისი, კოლერი, ჯონსი, მეიერი (ვაისენბერგერი 64), ვან ლენტი (კოპადო 84), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ბაიერნი: კანი, ისმაელი, ლუსიო, სანიოლი, ლიზარაზუ, დემიჩელისი, დაისლერი (შოლი 54), სალიჰამიჯიჩი (გერერო 66), შვაინშტაიგერი, ქარიმი (ზე რობერტო 73), მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კოისი, ჯონსი, დაისლერი
მსაჯი: კირხერი
50 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 2:0 არმინია**

1:0 კოლერი (26), 2:0 სმოლარეკი (83)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მეცელდერი, ვიორნსი, დეგენი, დედე, კელი, როსიცკი, კრინგე (კრუსკა 84), რიკენი (ოდონკორი 58), სმოლარეკი, კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
არმინია: ჰაინი, ვესტერმანი, კორზინეცი, ბორგესი, შულერი (პინტო 71), ფინკი, გაბრიელი (კობილიკი 46), ზუმა, კრუპნიკოვიჩი, პორჩელო (ბოაკი 79), რაუ
მწვრთნელი: თომას ფონ ჰესენი
მსაჯი: პერლი
62 100 მაყურებელი

**გლადბახი 2:1 ვერდერი**

0:1 ვან დამი (21), 1:1 ბროიხი (53), 2:1 ბაუმანი (60ს.კ.)
გლადბახი: კელერი, ფუკალი, იანსენი, შტრასერი, უდე კამპუისი, ზე ანტონიო, ლისტეში (კლუგე 46), ელ ფაკირი, ბროიხი (დაემსი 79), კაპე, ნოიფილი (სვერკოში 81)
მწვრთნელი: ჰორსტ კიოპელი
ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა (ვრანიეში 82), ლ. ანდერესენი, ვანდამი, ნალდო, ბაუმანი (ჰანტი 71), ფრინგსი, ბოროვსკი(დ. იენსენი 67), მიკუ, კლასნიჩი, კლოზე
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: უდე კამპუისი, კელერი, ნოივილი, ბოროვსკი
მსაჯი: გრეფე
40 251 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:4 ვოლფსბურგი**

0:1, 0:2 ჰანკე (10, 14), 0:3 კლიმოვიჩი (27), 1:3 ბრდარიჩი (30), 1:4 დალესანდრო (33), 2:4 ბრარიჩი (89)
ჰანოვერი: ენკე, მერტესაკერი, ჩერუნდოლო, ჟურავი (ვინისიუსი 52), ტარნატი (ბალიჩი 73), ლალა, დაბროვსკი, შტაინერი, იანკოვი (ჰანე 46), ჰაშემიანი, ბრდარიჩი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ვოლფსბურგი: იენჩი, ალექსი, ჰოფლანდი, კიროგა, ნეზირი, სარპეი, კარჰანი (მაკიადი 70), ცქიტიშვილი, დალესანდრო (მარლე 81), ჰანკე (შნორი 75), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: ტარნატი, ბრდარიჩი, დალესანდრო
მსაჯი: შმიდტი
31 517 მაყურებელი

**შეცვლაზე** ექვსი წუთის შესულმა პაულო გერერომ „აინტრახტს“ თითქმის კარის ხაზიდან თავით გაუტანა და „ბაიერნის“ მიჯრით მეექვსე გამარჯვება გამოაცხო — ზედიზედ თხუთმეტ მატჩში იმარჯვა, ეს სერია კი გაზაფხულზე დაიწყო.

მიუნხენელებს მიხაელ ბალაკი არ ჰყავდათ, რამაც ფელიქს მაგათს სანერვიულო გაუჩინა, თუმც ჩემპიონებმა სამი ქულა მაინც მიითვალეს და კვლავ ცხრილის თავში არიან.

„ვერდერს“ მცირედით ვუსწრებდით, მაგრამ ამ მოგების შემდეგ სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა — თქვა ოლივერ კანმა — ფრანკფურტში იღბალი აშკარად ჩვენს მხარეს იყო“.

ბრემენის „ვერდერის“ კაპიტან ფრანკ ბაუმანს არ გაუმართლა — მის გუნდს მიონხენგლადბახიდან ქულის წაღება შეეძლო, თუმც კაპიტანმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და მასპინძლებს სამი ქულა გამოუწერა.

„ვერდერმა“ შესვენებამდე აჯობა „ბორუსიას“ და ბლომად მომენტი შექმნა, რომელთაგანაც ერთი იელე ვან დამმა გამოიყენა და სტუმრები დააწინაურა. ტომაშ ბროიხმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა, მერე კი ბაუმანური საცოდაობა დატრიალდა — გლადბახელელმა კარის წინ ჩააწოდა, ბრემენელთა კაპიტანმა კი ბურთს გეზი შეუცვალა, რომელიც რაინკეს კარში აღმოჩნდა.

„ჰანოვერმა“ „ბაიერნთან“ მარცხს „ვოლფსბურგთან“ საშინაო წაგება მიაყოლა. მაიკ ჰანკემ ოთხ წუთში დუბლი გააკეთა, მერე კი არგენტინელების ჯერი დადგა. დიეგო კლიმოვიჩმა მასპინძელთა მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო და — 0:3. ტომაშ ბრდარიჩმა ერთი უმალ გაქვითა, რითაც „ჰანოვერი“ ოდნავ გააცოცხლა, თუმცა ანდრეს დალესანდრომ დამხვდურთა სიხარული იქვე მეოთხე გოლით გაანელა. ბრდარიჩმა კი ისღა შეძლო, რომ თამაშის მიწურულს სხვაობა ორამდე შეემცირებინა.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ მთელი მატჩის განმავლობაში „არმინიაზე“ უკეთ ითამაშა. იან კოლერმა დაახლოებით რვა მეტრიდან გაუტანა ჰაინს, შეხვედრის ბოლოს კი ტომაშ როსიცკის პასს სმოლარეკმა საგოლე თავური დაუხვედრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 6 | 0 | 0 | 15:3 | 18 |
| ვერდერი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:8 | 13 |
| ჰამბურგი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| შალკე | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| კიოლნი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| ვოლფსბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:10 | 9 |
| ჰერტა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| დორტმუნდი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 8 |
| გლადბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:10 | 7 |
| ლაუტერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| შტუტგარტი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| ჰანოვერი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | 6 |
| არმინია | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| აინტრახტი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| დუისბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 7:12 | 2 |
| ნიურნბერგი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |
| მაინცი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:10 | 0 |

### II ბუნდესლიგა. VI ტური

**მიუნხენი 0:1 ფრაიბურგი**

0:1 აოგო (54)
ფრაიბურგი: გოლცი, დიარა (კაუფმანი 74), ბალტესი, ოლაინგბესი, იბერსტბერგერი, ანტარი, კულიბალი, აოგო (ჰერმელი 84), ტანკო, სანუ (კრუპკე 68), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**კარლსრუე 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 ეგიმანი (15)

**ბრაუნშვაიგი 2:0 ოფენბახი**

1:0 შუმანი (67ს.კ.), 2:0 ფუხსი (90)

**ბოხუმი 1:0 დინამო დრ**

1:0 დრსეკი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:5 | 14 |
| ბრაუნშვაიგი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 13 |
| კოტბუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:8 | 10 |
| მიუნხენი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| ფრაიბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| ზიგენი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| პადერბორნი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| ალემანია | 5 | 3 | 0 | 2 | 10:9 | 9 |
| ოფენბახი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:14 | 9 |
| კარლსრუე | 6 | 2 | 2 | 2 | 4:3 | 8 |
| ბურგჰაუზენი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| აუე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| უნტერჰახინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ფიურტი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |
| ჰანზა | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |
| ალენი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:9 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:17 | 1 |



პაულო გერერომ (მარჯვნივ) „ბაიერნს“ მორიგი სამი ქულა მოუტანა



# უეინ რუნის ორი თამაშის მიუსაჯეს

**უეფამ** უეინ რუნის ტაშისცემის გამო იმსჯელა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. გასულ კვირაში, „ვილიარეალთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მსაჯმა კიმ მილტონ ნილსენმა რუნი უხეშობისთვის გააფრთხილა, რასაც ფეხბურთელმა დამცინავ-ბრაზიანი ტაშით უპასუხა.

ამის მიუხედავად, ყველა ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ელოდა, თუმცა უეფაში თქვეს, რუნი წითელი ბარათის მიღების შემდეგ ილანძღებოდა და მეორე თამაშიც იმიტომ დავუმატეთო.

ასე რომ, ჯეელი ვერ ითამაშებს „ბენფიკასა“ და „ლილის“ წინააღმდეგ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კამუდიმბა ვალალა



„ვესტ ჰემმა“ ამჯერად მარლონ ჰარვუდის (მარცხნივ) გოლების გარეშე იმარჯვა

**აილეთ** ინგლისის ლიგათა ცხრილები და თვალი ჩააყოლეთ. სადმე „გრიმსბისაც“ იპოვნით. ჰოდა, „გრიმსბიმ“ ლიგის თასის (წლეულს „კარლინგისა“ ჰქვია სპონსორი ლუდის მიხედვით) პირველივე წრიდან გამოთიშა „ტოტენჰემი“, რომელსაც 5 ფეხბურთელი ჰყავს ინგლისის ნაკრებში და 10 განთქმული უცხოელიც ძირითადში მოსახვედრად იბრძვის.

„გრიმსბიმ“ მოიგო 88-ე წუთზე, კუთხურს მოყოლილი დარტყმით: კონგოელმა ჟან პოლ კამუდიმბა კალალამ მეორე ლიგის ლიდერებს 20 იარდიდან მოუტანა გამარჯვება.

თამაში იმგვარი არ იყო, რომ გეთქვა, „ტოტენჰემი“ მეტოქეს აბურთავებდა და შემდეგ შემთხვევით წააგო. გრიმსბელთა ბოსმა რასელ სლეიდმა იხუმრა: „გვარიანად ვარბენინეთ. დიდ ხელფას ოფლისღვრაც უნდა. თუმცა, აღარ მეგონა, რომ თამაშის ბოლოს გოლს გავიტანდით“.

ლონდონელები კი უძლიერესი შემადგენლობით იყვნენ „ბლანდელ პარკზე“.

გამოჩნდა სხვა ჯაიანთ-ქილერიც: „ჯილინგემმა“ ლიგის თასი დაატოვებინა „პორტსმუთს“, 3:2. ზღვისპირელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ მეკარე ჯემი ეშდაუნის წყალობით ორი კომიკური გოლი გაუშვეს. ერთხელ მეტოქეს გადაუგდო ბურთი და ამიტომ დაისაჯა, მეორედ კი მას ძელიდან ასხლეტილი ბურთი თავში მოხვდა და ისე შევარდა კარში. მერე დამატებით დროც მოვიდა და „ჯილებმა“ „ნამდვილი“ გოლიც გაიტანეს.

„პორტსმუთის“ ფანობამ თავის მენეჯერ ალენ პერინს უსტვინა, მან კი თქვა: „არ მიკვირს, საშინელი დღე გვქონდა“.

სალიგისთასოდ კი გაილაღა „ასტონ ვილამ“, რომელმაც 8:3 მოუგო „უიკომბს“, თუმცა ანგარიში ერთხანს 1:1-ც იყო. „ვესტ ჰემმა“ შეფილდში იმარჯვა, „უენსდისთან“, 4:2 და თავი გამოიჩინა ბობი ზამორამ, რომელიც ძალიან ნიჭიერ ფორვარდად ითვლება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძირითადში ვერ ხვდება მარლონ ჰარვუდის კარგი თამაშის გამო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# თამაშის ჩემი წესები



(დასაწყისი №205-ე „სარბიელში“)

## ოჯახი

**1988 წელს** ვერსილიაში მომავალი მეუღლე, ჯანი გავიცანი, რომელიც ერთი ნახვით შემიყვარდა. ცოტა ხანს ბოლონიაში ვიცხოვრეთ, მაგრამ საშინელი ზამთრისა და დიდთოვლობის შემდეგ ვიარეჯოში გადავსახლდით.

მეუღლე და ორი გოგო — ოჯახი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. ოჯახზეა დამოკიდებული, რას მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში. ამ მხრივ ნაღდად გამიმართლა. სახლში ქალური საწყისი სჭარბობს, მაგრამ არა უშავს. ერთი ბიჭი რომ მყოლოდა, ალბათ ფეხბურთზე გაუთავებელი დავა გვექნებოდა, გოგოებს კი ფეხბურთი ნაკლებად აინტერესებთ და ამით დასვენებული ვარ.

ჰობი არ მაქვს, მაგრამ ბევრი რამ მიტაცებს, პირველ რიგში — კითხვა. განსაკუთრებით მაშინ მიყვარს წიგნის ფურცვლა, როცა მატარებლით მატჩზე მოვემგზავრები. ტელევიზორთანაც ვმეგობრობ. მსიამოვნებს ეკრანთან ჯდომა. ვუყურებ ფეხბურთს, კალათბურთს, მძლეოსნობას, ველოსპორტს. ფილმებიდან დეტექტივს და კომედიას „ვეტანები“. რაც შეეხება მუსიკას, ის ჩემი კომპანიონია ავტომობილში. კარგ ხასიათზე მაყოლებს „ქუინის“ რომანსები და ემინემის ლირიკა. ჩემს ცოლს მძიმე როკი უყვარს. ავტომობილით ერთად მგზავრობისას იძულებული ვარ, როკის მოსმენას დავყაბულდე. უმცროსი გოგო დედას დაემსგავსა, „აეროსმიტზე“ გიჟდება. არადა, ჯერ ხომ რვა წლისაა...

## ჩემი ჩემპიონები

**მსურს**, რომ ჩემპიონთა ჩემეული გალერეა პერსონაჟზე კი არა, პიროვნებაზე თხრობით დავიწყო.

უნივერსიტეტში სწავლისას ის ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. მაშინ ბოლონიაში ვცხოვრობდით და მთელი სამეგობრო ფეხბურთზე გიჟდებოდა. ჩვენ გვყავდა გუნდი „კარიოკასი“ და ამხანაგურ მატჩებს ვაწყობდით, მოწინააღმდეგე კი ერთი და იგივე გვყავდა. ამიტომ რევანშის სურვილი ყოველი მომდევნო შეხვედრისას იზრდებოდა. შაბათობით შუადღის შემდეგ ვთამაშობდით მოედანზე, რომელსაც ბოლონიელები „პატარა სამოთხეს“ უწოდებდნენ.

ჩვენი გუნდის ათნომრიანი მაისურა ლუკა ბორგის ეცვა, რომელთანაც ვმეგობრობდი. სამწუხაროდ, ლუკა კიბოთი დაავადდა და გარდაიცვალა. ისე უყვარდა ფეხბურთი, რომ პირველი ოპერაციის მერე მუხლსქვემოთ ფეხმოჭრილი. პროტეზით დაბრუნდა და მაინც თამაშობდა. ძალიან ტექნიკური იყო და მოედანზე სამაგალითო პიროვნება გახლდათ. ჩვენ ერთმანეთს გარეგნულადაც ვგავდით. 1984-ში ქიმიოთერაპიის ორი ციკლის შემდეგ თმა გასცვივდა. სოლიდარობა გამოუცხადე და თავი გადავიპარსე. ლუკას გაცილებით მეტი დახმარება სჭირდებოდა, ვიდრე მე შემეძლო. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს, რომელიმე ვარსკვლავის საშუალებით დღეს მაინც გამეცა პასუხი მისთვის კითხვაზე: „ამიხსენი, ვინ დაგაძალა მსაჯობა?“

პირველი ფეხბურთელი, რომელიც ჩემი კერპი გახდა, „ლაციოს“ კაპიტანი და 1974 წელს „სკუდეტოს“ მომგები პინო ვილსონი იყო. პინოს მოედანზეც და მის გარეთაც ღირსეულად ეჭირა თავი. მახსოვს, ერთხელ ტელევიზორში ენაზე, „რეიბენის“ სათვალეები ეკეთა, რომლებზეც მაშინ უმაღლეს კლასად ითვლებოდა.

სამწუხაროდ, არ მომიწია დიდებული დიეგო მარადონას მონაწილეობით მატჩების მსაჯობა. სერია **A**-ში 1991 წელს მივედი და იგი უკვე აღარ თამაშობდა იტალიაში. დასანანია, რომ მას მოედანზე ვერ შევხვდი, არადა, ჩემი აზრით, სწორედ ისაა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი.




ძალიან კარგად ვიცნობ რობერტო ბაჯოს. იგი არა მხოლოდ დიდი მოთამაშე, არამედ ბრწყინვალე პიროვნებაა. ბევრი ტრავმა გადაიტანა და მაინც არ დანებდა. სხვას მის ადგილზე შეეძლო, ეთქვა: „კმარა!“ მაგრამ არა ბაჯოს. ვისაც ახლოდან უნახავს მისი ნაოპერაციევი მუხლები, ყველას გაჰკვირვებია, როგორ ახერხებდა ეს ფეხბურთელი ყველაფრის ხელახლა დაწყებას.

რაღა თქმა უნდა, ფრანკო ბარეზის გვერდს ვერ ავუვლი. მასთან განსაკუთრებული შემთხვევა მაკავშირებს. 1993-94 წლების ჩემპიონატში „რომა“ — „მილანს“ მასპინძლობდა. ბარეზი მაშინ უკვე სახელგანთქმული იყო. თამაშის დაწყებიდან სამ წუთში მილანელები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ. რომაელთა ფორვარდი კარისკენ დაიძრა, ბარეზი კი დაეწია და მაისურაზე მოქაჩა, რომ ხელი შეეშალა. ჯარიმა დავნიშნე, ბარეზი კი გავაძევე.

მატჩის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში, როცა იმ ეპიზოდს ვიხსენებდი, მომეჩვენა, რომ ცუდად მოვიქეცი. თვით ლეგენდარულ ფრანკოს ბურთთან შეხებაც კი არ აცალე და სამ წუთში მოედნიდან მივაბრძანე, მაგრამ მსაჯი გვარებს არ უნდა ემონებოდეს.

ჩემპიონთა ჩემეულ გალერეაშია რაულ გონსალეს ბლანკოც ანუ რაული. „რეალისა“ თუ ესპანეთის ნაკრების მატჩების დროს ხშირად შევხვედრივართ, თუმც ამბავი, რომელსაც მოგითხრობთ, მოედანზე არ მომხდარა.

2002 წლის გაზაფხულზე, „ადიდასის“ სარეკლამო კამპანიისას მადრიდში მე, რაული, ზიდანი, რუი კოშტა, დელ პიერო და ბექემი შევიკრიბეთ. მე და რაული მადრიდის სპორტის უნივერსიტეტის შენობის დერეფანში ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფების თანხლებით შევხვდით. როგორც ესპანელმა, პატივისცემის ნიშნად ლოყაზე მაკოცა. რამდენიმე კვირის შემდეგ „ბარსელონა“ და „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩში დაეჯახნენ, რომელშიც მე უნდა მემსაჯა. ერთ-ერთმა ესპანურმა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა — რაული კოლინის კოცნის ანუ კოლინა მადრიდელთა მხარესაა. არ მსურს ამ ამბის ამოქექვა, თავად განსაჯეთ.

და მაინც, თუ ვინმე მკითხავს, ვინაა თქვენთვის იდეალური ფეხბურთელი, ვუპასუხებ: დევიდ ბექემი.



## მე და ჩემი თმა

**ხალხს** უყვარს თმის მოვლა. ზოგიერთი დიდ დროს უთმობს ვარცხნილობას და ამით საკუთარ თავს გამოხატავს. თმის ცვენისას ადამიანი ექიმებთან დარბის, რომელიც ფულს იღებს, მაგრამ ფაქტობრივად სულ ტყუილად.

საბოლოოდ თმაგაცვენილი კაცი ან გადანერგვას ცდილობს ან პარიკს იყენებს.

სხვათა აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ვფიქრობ, რომ თმის ცვენის შეჩერების საუკეთესო ხერხი თავის გადაპარსვაა.

24 წლის ვიყავი, როცა შესამჩნევად გამელოტდი, თუმც ეს ამბავი იოლად გადავიტანე. ბავშვობაში რომ მომსვლოდა, მშობლებისთვის ძნელი იქნებოდა იმის ახსნა, თუ რატომ გამოვირჩევი სხვებისგან უთმობის გამო.

1984 წელს სამუდამოდ გამოვეთხოვე თმებს. თავიდან „საცდელი პერიოდი“ მქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პროცესი შეუქცევადი იყო.

## კოლექცია

ჩემს კოლექციაში უძვირფასესი ექსპონატებია. უპირველესად რონალდოს მაისურაზე უნდა ვთქვა, რომლითაც მან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი გაიტანა. გარდა ამისა, მაქვს ჰამანის „ფინალური“ მაისურა და აგრეთვე სტამისა და შოლის ზედა სამოსები „მანჩესტერის“ — „ბაიერნის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალიდან.

ჩემმა შვილმა კაროლინამ დევიდ ბექემის ის მაისურა წაართვა, რომლითაც ბექემმა 2002-ის ივნისში არგენტინის წინააღმდეგ ითამაშა და დაბრუნებას არ აპირებს.

სხვათა შორის, ბევრი ფეხბურთელი მოსულა ჩემთან და მაისურა უთხოვია. ეს ნიშნავს, რომ მოთამაშეებსა და მსაჯებს შორის კარგი ურთიერთობაა. ჩვენ ფორმების განსაზღვრულ რაოდენობას გვაძლევენ, რომელიც უნდა ვიმყოფინოთ. ამიტომ ძნელია ვინმეს დაუთმო ის, რაც მომდევნო თამაშისთვის ისევ დაგჭირდება.

გარდა მაისურებისა, ცოტა ბურთებიც მაქვს. ყველაზე პატივცემული კი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალის ბურთია. მახსოვს, ბრაზილიელი ფეხბურთელისკენ გავემართე, რომ გამომერთვა და მატჩი დამესრულებინა. ესპანურად ვუთხარი, მაგრამ ვერ გამიგო, თამაში გაგრძელდა. გერმანელები დაჯარიმდნენ, ბურთი ავიღე და დამთავრებისა დავუსტვინე. ნამატჩევს და დაჯილდოებისას ბურთი ხელიდან არ გამიშვია, რადგან დიდი შანსი იყო, ვინმეს წაეღო...

*(გაგრძელება შემდეგ ხუთშაბათს)*

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 2 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 18:00 | 3 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 18:00 | 4 | ევერტონი-უიგანი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 5 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-არსენალი | 5.10 | 3.40 | 1.65 | 2.03 | 1.24 | 1.11 |
| 18:00 | 7 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 18:00 | 8 | ნიუკასლი-სიტი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 20:15 | 9 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.75 | 3.30 | 4.60 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 10 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 11 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.55 | 3.50 | 5.90 | 1.07 | 1.22 | 2.19 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 12 | ლუტონი-შეფილდი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 13 | მილუოლი-კარდიფი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 14 | ნორვიჩი-რედინგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 15 | შეფილდი-დერბი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 18:00 | 16 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 1.55 | 3.40 | 5.60 | 1.06 | 1.21 | 2.11 |
| 18:00 | 17 | სტოკი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 18 | ბარნლი-ბრაიტონი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 19 | ქოვენტრი-ჰალი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 18:00 | 20 | კრისტალ პალასი-პრესტონი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 18:00 | 21 | ქრიუ-უოტფორდი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 22 | ლიდსი-იფსვიჩი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18:00 | 23 | ლესტერი-ქპრ | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 25 | ოლდემი-ბორნმუთი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 18:00 | 26 | როტერჰემი-საუთენდი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 27 | სკანთორპი-უოლსოლი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 28 | სუონსი-ნოტინგემი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 29 | სუინდონი-ბრედფორდი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 18:00 | 30 | ტრანმერი-ჯილინგემი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 31 | იოვილი-პორტ ვეილი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 18:00 | 32 | ბარნსლი-დონკასტერი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:00 | 33 | ბლეკპული-დონსი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 34 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 35 | ჩესტერფილდი-ჰარტლპული | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 36 | კოლჩესტერი-ჰადერსფილდი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 37 | როვერსი-დარლინგტონი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 18:00 | 38 | კარლაილი-ლეიტონი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:00 | 39 | მენსფილდი-უიკომბი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 40 | ნორთჰემპტონი-ჩელტენემი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 18:00 | 41 | ნოტსი-რაშდენი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 18:00 | 42 | ოქსფორდი-ბერი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 43 | პიტერბრო-შრუსბერი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 18:00 | 44 | სტოკპორტი-ჩესტერი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 45 | ტორკი-ლინკოლნი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 46 | რექსემი-მაკლსფილდი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 18:00 | 47 | ბარნეტი-როჩდეილი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 48 | ბოსტონი-გრიმსბი | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 71 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 18:00 | 72 | სელტიკი-ინვერნესი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 18:00 | 73 | დანფერმლაინი-დანდი იუნ. | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 18:00 | 74 | კილმარნოკი-ფოლკირკი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 18:00 | 75 | მოზერველი-ჰიბერნიანი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 15:30 | 76 | ჰარტსი-რეინჯერსი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 77 | ბრეჩინი-სტრანრაერი | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 18:00 | 78 | დანდი-როსი | 1.90 | 3.50 | 3.20 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 18:00 | 79 | კლაიდი-სტ.ჯონსტონი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 18:00 | 80 | ქუინი-ჰამილტონი | 3.00 | 3.50 | 1.95 | 1.61 | 1.18 | 1.25 |
| 18:00 | 81 | ერდრი-სტ.მირენი | 2.75 | 3.40 | 2.15 | 1.52 | 1.20 | 1.31 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 82 | ალოა-გრეტნა | 4.30 | 3.70 | 1.60 | 1.98 | 1.16 | 1.11 |
| 18:00 | 83 | ეარი-მორტონი | 2.90 | 3.50 | 2.00 | 1.58 | 1.18 | 1.27 |
| 18:00 | 84 | დამბარტონი-სტირლინგი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 18:00 | 85 | პარტიკი-ფორფარი | 1.90 | 3.50 | 3.30 | 1.23 | 1.20 | 1.69 |
| 18:00 | 86 | პიტერჰედი-რეითი | 2.45 | 3.40 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 87 | ალბიონი-ბერიკი | 3.80 | 3.50 | 1.70 | 1.82 | 1.17 | 1.14 |
| 18:00 | 88 | არბროთი-კოუდენბითი | 2.30 | 3.40 | 2.55 | 1.37 | 1.20 | 1.45 |
| 18:00 | 89 | ისტ ფაიფი-ქუინს პარკი | 2.25 | 3.40 | 2.55 | 1.35 | 1.19 | 1.45 |
| 18:00 | 90 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 18:00 | 91 | მონტროუზი-სტენჰაუსმუირი | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 118 | ზიგენი-ჰანზა | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 185 | ბაზელი-იანგ ბოისი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 269 | რეალი-ბილბაო | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 305 | ლიონი-ლანსი | 1.55 | 3.30 | 6.50 | 1.05 | 1.25 | 2.18 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 355 | ჰერენვენი-ნაიმეგენი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 356 | ტილბურგი-დენ ჰააგი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:00 | 357 | ვალვაიკი-უტრეხტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:00 | 358 | ვიტესი-გრონინგენი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:15 | 359 | აიაქსი-როდა | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| 21:30 | 363 | პსვ-როზენდალი | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 360 | ტვენტე-ფეიენოორდი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 16:30 | 361 | სპარტა-ჰერაკლესი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 16:30 | 362 | ბრედა-ალკმაარი | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 398 | ოლიმპიაკოსი-აკრატიტოსი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 21:00 | 399 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 395 | იონიკოსი-კალითეა | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 16:30 | 396 | ოლიმპია-აეკ | 3.50 | 3.10 | 2.00 | 1.64 | 1.27 | 1.21 |
| 18:00 | 397 | ოფი-ირაკლისი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 400 | პაოკ-ეგალეო | 1.50 | 3.50 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 18:00 | 401 | ქსანთი-ლევადიაკოსი | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 394 | კალამარია-ატრომიტოსი | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 509 | ჰოდი-ალტა | 1.45 | 4.20 | 5.50 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| 18:00 | 510 | კონგსვინგერი-ჰონეფოსი | 2.40 | 3.60 | 2.45 | 1.44 | 1.21 | 1.45 |
| 18:00 | 511 | მანდალი-სტაბეკი | 3.70 | 3.80 | 1.75 | 1.87 | 1.18 | 1.19 |
| 18:00 | 512 | სანდეფიორდი-ბორის გრენლანდი | 1.80 | 3.70 | 3.60 | 1.21 | 1.20 | 1.82 |
| 18:00 | 513 | სკეიდი-ბრინი | 2.85 | 4.00 | 2.00 | 1.66 | 1.17 | 1.33 |
| 18:00 | 514 | ტონსბერგი-სტრომსგოდსეტი | 2.10 | 3.90 | 2.70 | 1.36 | 1.18 | 1.59 |
| 18:00 | 515 | ფოლო-ლოვ ჰამი | 1.90 | 3.80 | 3.00 | 1.26 | 1.16 | 1.67 |
| 20:00 | 516 | სოგნდალი-მოსი | 2.20 | 3.70 | 2.60 | 1.37 | 1.19 | 1.52 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 596 | კორინთიანსი-ატლეტიკო მნ | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 23:45 | 597 | ატლეტიკო პრ-ბოტაფოგო | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 23:45 | 598 | ჟუვენტუდე-კურიტიბა | 1.70 | 3.30 | 4.00 | 1.12 | 1.19 | 1.80 |
| 23:45 | 599 | ვასკუ და გამა-პონტე პრეტა | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი პერუში(17)** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 759 | მექსიკა-თურქეთი | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 23:45 | 760 | ურუგვაი-ავსტრალია | 2.05 | 3.00 | 3.20 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| 23:45 | 761 | განა-ჩინეთი | 2.45 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 23:45 | 762 | პერუ-კოსტა რიკა | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 705 | კაენი-ვალენსიენი | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| 22:00 | 706 | ნიორი-სედანი | 2.85 | 2.90 | 2.30 | 1.43 | 1.27 | 1.28 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 717 | მოლდე-ჰონეფოსი | 1.50 | 4.00 | 5.30 | 1.09 | 1.16 | 2.27 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 663 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ირლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 664 | ბრეი-დუბლინი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.35 | 1.39 | 1.52 |
| 22:45 | 667 | დროგედა-ბოჰემიანი | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.35 | 1.46 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 665 | დერი-შემროკი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 707 | მოლოტი-ს.იულაევი | 3.50 | 4.50 | 1.60 | 1.96 | 1.09 | 1.18 |
| 18:30 | 708 | აკ ბარსი-დინამო | 1.85 | 4.50 | 2.70 | 1.31 | 1.09 | 1.68 |
| 18:30 | 709 | ლოკომოტივი-სიბირი | 1.25 | 5.50 | 6.00 | 1.01 | 1.03 | 2.86 |
| 18:30 | 710 | ნეფტეხიმიკი-მაგნიტოგორსკი | 2.80 | 4.60 | 1.80 | 1.74 | 1.09 | 1.29 |
| 18:30 | 711 | სევერსტალი-მვდ | 1.50 | 4.60 | 4.00 | 1.13 | 1.09 | 2.13 |
| 18:30 | 712 | ასკ-ვიტიაზი | 1.35 | 5.00 | 4.60 | 1.06 | 1.04 | 2.39 |
| 19:00 | 713 | სპარტაკი-ნოვოკუზნეცკი | 2.60 | 4.60 | 1.85 | 1.66 | 1.08 | 1.31 |
| 19:00 | 714 | ცსკა-ლადა | 2.55 | 4.60 | 1.90 | 1.64 | 1.08 | 1.34 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 715 | ავანგარდი-ხიმიკი | 1.40 | 5.10 | 4.50 | 1.09 | 1.06 | 2.39 |
| | | **კალათბურთი კაცები ევროპის ჩემპიონატი (სერბეთი)** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 718 | რუსეთი-საბერძნეთი | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| 22:30 | 719 | ლიტვა-საფრანგეთი | 1.35 | 12.00 | 2.80 | 1.21 | 1.00 | 2.27 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 720 | სლოვენია-გერმანია | 1.50 | 12.00 | 2.50 | 1.33 | 1.00 | 2.06 |
| 23:00 | 721 | ესპანეთი-ხორვატია | 1.70 | 12.00 | 2.10 | 1.48 | 1.00 | 1.78 |

## ფრეს ბარეში (ძირ დრო)

16002 ბირმინგემი-ლივერპული ------------ 2.20 -- 1.50
16003 ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი --------- 1.85 -- 1.65
16004 ევერტონი-უიგანი ------------------- 1.30 -- 2.70
16005 მანჩესტერი-ბლექბერნი -------------- 1.03 -- 6.00
16006 ვესტ ჰემი-არსენალი ----------------- 2.80 -- 1.30
16007 ჩელსი-ასტონ ვილა ------------------ 1.03 -- 6.00
16008 ნიუკასლი-სიტი ----------------------- 1.50 -- 2.20
16009 ბოლტონი-პორტსმუთი --------------- 1.30 -- 2.70
16010 მიდლსბრო-სანდერლენდი ---------- 1.20 -- 3.20
16011 ტოტენჰემი-ფულემი ------------------ 1.20 -- 3.20
16269 რეალი-ბილბაო ------------------------ 1.06 -- 4.60

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17002 ბირმინგემი-ლივერპული ------------ 1.85 -- 1.95
17003 ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი --------- 1.85 -- 1.95
17004 ევერტონი-უიგანი ------------------- 1.85 -- 1.95
17005 მანჩესტერი-ბლექბერნი -------------- 1.85 -- 1.95
17006 ვესტ ჰემი-არსენალი ----------------- 1.85 -- 1.95
17007 ჩელსი-ასტონ ვილა ------------------ 1.85 -- 1.95
17008 ნიუკასლი-სიტი ----------------------- 1.85 -- 1.95
17009 ბოლტონი-პორტსმუთი --------------- 1.85 -- 1.95
17010 მიდლსბრო-სანდერლენდი ---------- 1.85 -- 1.95
17011 ტოტენჰემი-ფულემი ------------------ 1.85 -- 1.95
17269 რეალი-ბილბაო ------------------------ 1.85 -- 1.95

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12002 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ევერტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 12006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 12008 | ნიუკასლი-სიტი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12269 | რეალი-ბილბაო | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14002 ბირმინგემი-ლივერპული ------------ 2.20 -- 1.70
14003 ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი --------- 1.90 -- 1.90
14004 ევერტონი-უიგანი ------------------- 1.55 -- 2.30
14005 მანჩესტერი-ბლექბერნი -------------- 1.05 -- 2.90
14006 ვესტ ჰემი-არსენალი ----------------- 2.40 -- 1.40
14007 ჩელსი-ასტონ ვილა ------------------ 1.05 -- 2.90
14008 ნიუკასლი-სიტი ----------------------- 1.65 -- 2.20
14009 ბოლტონი-პორტსმუთი --------------- 1.45 -- 2.40
14010 მიდლსბრო-სანდერლენდი ---------- 1.30 -- 2.50
14011 ტოტენჰემი-ფულემი ------------------ 1.30 -- 2.50
14269 რეალი-ბილბაო ------------------------ 1.20 -- 2.50

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ევერტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 2.00 | 1.60 |
| 13008 | ნიუკასლი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13269 | რეალი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ევერტონი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ნიუკასლი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ტოტენჰემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15269 | რეალი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ბირმინგემი-ლივერპული | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11004 | ევერტონი-უიგანი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11008 | ნიუკასლი-სიტი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 2.05 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11011 | ტოტენჰემი-ფულემი | 2.05 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11269 | რეალი-ბილბაო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.20 | 2.00 | 2.80 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10004 | ევერტონი-უიგანი | 2.15 | 2.10 | 4.50 | 1.06 | 1.45 | 1.43 |
| 10005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.40 | 2.90 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.05 |
| 10006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 4.80 | 2.00 | 2.10 | 1.41 | 1.46 | 1.02 |
| 10007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.40 | 2.90 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.05 |
| 10008 | ნიუკასლი-სიტი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.80 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.57 |
| 10011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.80 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.57 |
| 10269 | რეალი-ბილბაო | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |

## საქართველოს XVI ჩემპიონატი

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

პირველი წრე. 21 სექტემბერი

**სსსსუ-მამული 30:25 ხ/ქ თბილისი**

სსსსუ-მამული: ხონელიძე, ხინგავა, ზაქარიაშვილი (გაიტანა 9 გოლი), შათირიშვილი (7), სიხარულიძე (6), მაისურაძე (5), ხუციშვილი (2), შონია (1), მამაცაშვილი, გიორგი არაბული, გელაშვილი, გობეჯიშვილი, კიზირია, ყაველაშვილი

ხ/ქ თბილისი: გონჩაროვი, სეთურიძე, ქირია (9), სამარლანიშვილი (6), მამასახლისი (5), ჟღენტი (2), გელა არაბული (1), ღლანიძე (1), გრიშიკაშვილი (1), ფორაქიშვილი, ნატროშვილი, ქარდავა, სულიკაშვილი

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

**ქარიშხალა 39:27 თელავი**

ქარიშხალა: გიორგი ტორონჯაძე, სამყურაშვილი, ჯორბენაძე (9), მსხვილიძე (6), ბერძენიშვილი (5), სიგუა (3), გოგალაძე (3), საჯაია (3), ამირანაშვილი (3), ირაკლი ტორონჯაძე (2), ზაალიშვილი (2), ირაკლი ჩიქოვანი (2), მელქოშვილი (1), გიორგი ჩიქოვანი

თელავი: ბადურაშვილი, ამბარდანიშვილი, გიორგელაშვილი (10), მეტრეველი (8), ჩიკვაიძე (5), ხარებაშვილი (2), სვიმონიშვილი (1), მამულაშვილი (1), იაგორაშვილი, ხატიაშვილი

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

# მამულს დანაკლისი დოპინგივით წაადგა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

**წლეულს** გაზაფხულზე დასრულებული მე-15 ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის „მამული“ ლამის მთლიანად განახლებული შემადგენლობით ჩაება ახალ სეზონში.

გუნდი შვიდმა მოთამაშემ დატოვა. რა თქმა უნდა, უმთავრესი დანაკლისია „გოლების მანქანის“ — გიორგი წივწივაძის წასვლა. „წივწივა“ ახლა ჩემპიონ „სტუ-შევარდენის“ ღირსებას იცავს.

მამულელებმა, ბუნებრივია, შევსებაც მიიღეს — დაბრუნდნენ: ზვიად შათირიშვილი, გიორგი ზაქარიაშვილი და გია მამაცაშვილი, „ქუთაისიდან“ გადმოვიდნენ მეკარე დავით ხინგავა და გამთამაშებელი დავით გობეჯიშვილი.

ობიექტურად რომ შევხედოთ, მამულელებმა უზარმაზარი დანაკლისი განიცადეს, მაგრამ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ რევაზ ჭანტურიას ბიჭების დღევანდელი თამაში უფრო საპირისპიროზე მეტყველებს. გუნდმა მოიგო ორივე სასტარტო თამაში, რომელთაგან, ცხადია, გამოსარჩევია გუშინ ეროვნულ ვერცხლის პრიზიორ „თბილისთან“ უპრინციპულეს მატჩში წარმატება. ასე რომ, გუნდს ეს დანაკლისი, ეტყობა, დოპინგივით წაადგა.

ორივე კლუბი ახალდაწყებულ, 2005-06 წლების მარათონულ სეზონში უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენის“ უპირველეს მეტოქედ ითვლება, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის „ქარიშხალასთან“ ერთად.

ჩვენც, ქომაგებსაც, ხომ სწორედ ასე გვირჩევნია, რომ ჩემპიონი გასაღ გაზაფხულზე დასკვნით ტურში გაირკვეს და არა ერთი-ორი წრით ადრე.

**გია ახალაძე**

### სატურნირო ვითარება

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 2 | 0 | 0 | 78:52 | 4 |
| სსსსუ-მამული | 2 | 0 | 0 | 57:49 | 4 |
| ქარიშხალა | 2 | 0 | 1 | 85:82 | 4 |
| ხ/ქ თბილისი | 0 | 0 | 2 | 45:57 | 0 |
| თელავი | 0 | 0 | 3 | 84:109 | 0 |



# ქართუს თასს ქართველთაგან მაყურებელიღა შერჩა

## კვირას უცხოელები ჩაამთავრებენ



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

მერვედფინალს შერჩენილმა მაკა ჩახნაშვილმა სერბ ანა ტიმოტიჩთან ვერაფერი გააწყო

**„ქართუს თასის“** დასრულებამდე ჯერ სამი დღე რჩება, ქართველი ჩოგბურთელებისთვის კი იგი გუშინ დასრულდა. მერვედფინალს შერჩენილმა მაკა ჩახნაშვილმა სერბ ანა ტიმოტიჩთან ვერაფერი გააწყო. მეტოქეს ორი სეტის განმავლობაში მხოლოდ სამი გეიმი აართვა.

ცენტრალურ კორტზე დანიშნული დღის პირველი შეხვედრა ერთ საათში ისე დასრულდა, რომ ხეირიანად ქომაგებმაც ვერ მოასწრეს „ბოლო ქართული იმედის“ შეგულიანება. თუ რეიტინგით ვიმსჯელებთ, სერბულ-ქართულ წყვილში ფავორიტი ჩვენებური უნდა ყოფილიყო. ალბათ თავად ჩახნაშვილიც არ ელოდა მეტოქისგან უშეცდომო თამაშს და რომ დაინახა, ტიმოტიჩს ყველაფერი გამოსდიოდა, აშკარად დაიბნა, ნერვებს აჰყვა და შეცდომებს უმატა.

მაკამ პირველი გეიმი 0:5-ზეღა მოიგო. ამ დროს სეტის მოტრიალების ალარავის სჯეროდა. სერბმაც მალევე მოამთავრა საქმე. დიდი ჯაფა ტიმოტიჩს არც მეორე სეტში დასდგომია. თხუთმეტ წუთში უკვე 4:0-ს იგებდა...

განთესილთაგან მერვედფინალი ვერც ბელარუსმა ნადეჟდა ოსტროვსკაიამ გადალახა. მას ჩოგანი უკრაინელმა ოქსანა ტეპლიაკოვამ დააშალითებინა, თან საკმაოდ იოლად — 6:3 6:3. მძიმე ბრძოლა გადახდა ტურნირის პირველ ნომერ ბელარუს ტატიანა უვაროვასაც. ნანა უროტაძის მძლეველი ჯანიანი რუსის, ირინა კოტკინას დასამარცხებლად სამი სეტი და გვარიანი ნერვიულობა დასჭირდა. სამი სეტი „იჭიდავეს“ უკრაინელებმა, კრისტინა ანტონიჩუკმა და ოქსანა ლიუბცოვამაც, გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა.

დღეს მეოთხედფინალებია. სალამოსთვის „ქართუს“ ოთხიღა შერჩება.

**ოთარ გალლაკელიძე**

### ქართუს თასი. თიხნარი საპრიზო 25 000 $

| 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 | ფ |
|---|---|---|---|---|
| ტატიანა უვაროვა (1, ბელარუსი) | უვაროვა 6:4 6:2 | უვაროვა 6:3 3:6 6:4 | | |
| ნატალია ბოგდანოვა (კვ. უკრაინა) | | | | |
| ირინა კოტკინა (რუსეთი) | კოტკინა 6:2 7:6 (7:4) | | | |
| ნანა უროტაძე (საქართველო) | | | | |
| ვერონიკა კაპშაი (კვ. უკრაინა) | კაპშაი 7:6 (7:2) 6:2 | პანოვა 6:3 7:5 | | |
| სარა ერანი (იტალია) | | | | |
| სოფო ქვაცაბაია (საქართველო) | პანოვა 1:6 6:3 6:0 | | | |
| ოლგა პანოვა (რუსეთი) | | | | |
| ვასილისა ბარდინა (3, რუსეთი) | ბარდინა 2:6 6:1 6:3 | ბარდინა 6:3 6:3 | | |
| ევგენია როდინა (რუსეთი) | | | | |
| კრისტინა გრიგორიანი (კვ. რუსეთი) | გეზნენგე 6:0 6:1 | | | |
| მარია გეზნენგე (ბულგარეთი) | | | | |
| ანა ტიმოტიჩი (სერბეთი) | ტიმოტიჩი 6:1 6:1 | ტიმოტიჩი 6:1 6:2 | | |
| ტატიანა კაპშაი (კვ. ბელარუსი) | | | | |
| ანა ლაპუშენკოვა (კვ. რუსეთი) | ჩახნაშვილი 6:4 6:0 | | | |
| მაკა ჩახნაშვილი (6, საქართველო) | | | | |
| ნადეჟდა ოსტროვსკაია (5, ბელარუსი) | ოსტროვსკაია 6:2 3:6 6:1 | ტეპლიაკოვა 6:3 6:3 | | |
| პემრა ოზგენი (თურქეთი) | | | | |
| ეკატერინა კოჟოხინა (რუსეთი) | ტეპლიაკოვა 6:0 7:6 (7:3) | | | |
| ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა) | | | | |
| ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხეთი) | ჰლავაჩკოვა 6:3 6:2 | ძეჰალევიჩი 6:0 7:6 (8:6) | | |
| ანჟელიკა როეში (გერმანია) | | | | |
| სოფო შაფათავა (კვ. საქართველო) | ძეჰალევიჩი 6:4 6:0 | | | |
| ეკატერინა ძეჰალევიჩი (4, ბელარუსი) | | | | |
| კაროლინა კოსინსკა (7, პოლონეთი) | ანტონიჩუკი 6:2 6:4 | ლიუბცოვა 6:4 0:6 6:4 | | |
| კრისტინა ანტონიჩუკი (კვ. უკრაინა) | | | | |
| მარინა შამაიკო (რუსეთი) | ლიუბცოვა 6:2 6:3 | | | |
| ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა) | | | | |
| ელენა კულიკოვა (რუსეთი) | კულიკოვა 2:6 6:2 6:2 | ზაჰლავოვა 6:0 7:6 (8:6) | | |
| ვოჟისლავა ლუკიჩი (კვ. სერბეთი) | | | | |
| მადალინა გოჟნეა (რუმინეთი) | ზაჰლავოვა 7:6 (7:3) 6:2 | | | |
| სანდრა ზაჰლავოვა (2, ჩეხეთი) | | | | |

**სერბეთი 71:74 საფრანგეთი**
**23:18 21:17 13:19 14:20**

სერბეთი: რადმანოვიჩი (14), იარიჩი (14 ქულა, 5 ჩაჭრა, 5 პასი)
საფრანგეთი: რიგოდო (14), პარკერი (13), დიავი (10)

**საბერძნეთი 67:61 ისრაელი**
**14:6 11:8 24:27 18:20**

საბერძნეთი: ზისისი (23), პაპადოპულოსი (19 ქულა, 10 მოხსნა), კაკიუზისი (12)
ისრაელი: გრინი (11), მარკოვიჩი (9)

# სერბეთი სერბეთმა დაამარცხა

## ევროპა მსოფლიოს მიუახლოვდა




**აი,** არაკი: სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრები ჩემპიონატს ისე გამოეთხოვა, მეოთხედფინალშიც ვერ გავიდა. ისე, რა მეოთხედფინალი — მასპინძელი გუნდის ქომაგთათვის ყველა მიღწევა წაგებად ჩაითვლებოდა ჩემპიონობის გარდა.

სერბებმა წააგეს ბევრით ვერაფრით გამორჩეულ ფრანგებთან, რომლებსაც „სან ანტონიოს" გამთამაშებელი ტონი პარკერი კი უძღვება, მაგრამ ისე ვერა, როგორც საჭიროა.

„ჩვენ ახლა ერთი ნაბიჯი გვაშორებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს. ამას ველოდით კიდეც, თუმცა ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, თუ სერბებს დავამარცხებდით" — თქვა გამარჯვებული საფრანგეთის დამრიგებელმა კლოდ ბერგომ.

სერბების დამარცხებას მართლაც ცოტა თუ ელოდა. ბალკანელებს არც შემადგენლობა ჰყავს ვინმეზე ნაკლები და უდიდეს გამოცდილებასთან ერთად შინაური კედლებიც სწყალობდათ, მაგრამ... სერბების გუნდს ისეთი პრობლემა ჰქონდა, რომელიც ყველაზე სახიფათოა და აკი შედეგმაც არ დააყოვნა.

„მე ახლაც ვფიქრობ, რომ ჩემპიონატზე ყველაზე ძლიერები ვართ, მაგრამ მოთამაშეებს შორის ძალიანაა ურთიერთობა გაფუჭებული და ამაზე დიდი მინუსი რა უნდა იყოს — ამბობს სერბთა ლეგენდარული მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი — შეხვედრაზე მე ყველანაირად ვეცადე ბიჭებისთვის პირადი უთანხმოებები დამევიწყებინა, მაგრამ, ეტყობა, ვერ შევძელი. მე მათ ვუთხარი, ჩაეხედათ სარკეში და საკუთარ თავთან და საშშობლოსთან ყოფილიყვნენ მართლები. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ურთიერთობების დარეგულირება და შესაბამისი ზომების მიღება ადრევე არ დავიწყე".

აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. სერბთა თითოეული მოთამაშე უმაღლესი კლასის პროფესიონალია და, ეტყობა, პირადმა ამბიციებმა გუნდის ერთსულოვნება დაარღვია.

ასე იყო თუ ისე, მასპინძლებმა მშვენივრად დაიწყეს ფრანგებთან თამაში და პირველი მეოთხედის 5 ქულით მოგების შემდეგ მეორეში უპირატესობა 11-მდე გაზარდეს.

იგორ რაკოჩევიჩი და მარკო იარიჩი თავიდან უპრობლემოდ სერავდნენ მეტოქის დაცვას, მაგრამ მერე ფრანგებიც გამოფხიზლდნენ. ფარქვეშ გააქტიურდა ფრედერიკ ვეისი, რომლის იოლად ნაშოვნი ქულებით ფრანგები მასპინძლებს 34:39 მიუახლოვდნენ.

მეორე ტაიმში უკვე ანტონი რიგოდო გამოადგათ ფრანგებს, რომლებმაც შტურმი მოუწყვეს მეტოქეს (9:0) და ანგარიში გაათანაბრეს — 44:44. სერბებმა ერთიც წაიფართხურეს, როცა იმავ იარიჩისა და ვლადიმერ რადმანოვიჩის შემწეობით 51:44 გალიდერდნენ, მაგრამ ფრანგთა ოკეანგაღმურმა არტილერიამ, ბორის დიავმა და ტონი პარკერმა, ჩამორჩენა უმალ 3 ქულამდე შეამცირეს.

ამასობაში ბოლო წუთებმაც მოატანა და სერბებს მონასტერი აერიათ. ბოლოს ისინი 66:63 იგებდნენ, როცა მილან გუროვიჩმა ორი საჯარიმო მიითვალა და სულ ეს იყო. ტონი პარკერმა ორი ფარქვეშა გარღვევა განახორციელა და ფრანგებიც 70:66 დაწინაურდნენ სირენამდე წუთნახევრით ადრე.

დარჩენილ დროში სერბებს ანგარიშის გათანაბრების ხელსაყრელი ვითარება შეექმნათ, მაგრამ ჯერ იარიჩმა, შემდეგ კი ჟელკო რებრაჩამ ორ-ორი საჯარიმო ტყორცნა გააცუდეს. ეს იყო წარმოუდგენელი იმედგაცრუება მასპინძელთათვის. სერბეთი შინ ნაადრევად გამოეთიშა ევროჩემპიონობისთვის ბრძოლას.

მეოთხედფინალში გამსვლელ მეოთხე მატჩში საბერძნეთმა თითქოს იოლად, მაგრამ გვარიანი ნერვიულობის ხარჯზე დაამარცხა ისრაელის ნაკრები, რომელიც ბოლო წუთებამდე იბრძოდა, მაგრამ...

მაშ ასე, მეოთხედფინალური წყვილები ცნობილია. დღეს რუსეთი საბერძნეთს შეხვდება, მოქმედი ჩემპიონი ლიტვა კი უკვე გმირებად შერაცხულ, სერბების დამამარცხებელ ფრანგებს. ხვალ ნახევარფინალში გასასვლელად სლოვენია გერმანიას შეერკინება, ესპანეთი კი ხორვატიას.

აქვე გეტყვით, რომ ნახევარფინალში გასული გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს მოიპოვებენ.

**ირაკლი პერტაია**




ოლიმპიზმი

# პერას ტაძრიდან ტურინამდე

**ტურინის** ზამთრის [illegible] ური თამაშების ჩირაღდანი [illegible] ემბერს საბერძნეთში, [illegible] არში დაინთება და ათი [illegible] მავლობაში მთელ [illegible] ვლის. 7 დეკემბერს [illegible] რაღდანს ოლიმპიადის [illegible] იტალიას გადასცემენ. [illegible] თმჭედლობის? [illegible] დანაც მას იტალიის [illegible] შემოატარებენ და მისი [illegible] ბიდან 64-ე დღეს [illegible] გილას, ტურინში [illegible] პალაც იმ დღეს [illegible]

ჩოგბურთი

# ქალებს უიმბლდონზეღა ჩაგრავენ

**საფრანგეთის** [illegible] ნატის, „როლან გაროსის" [illegible] რის ორგანიზატორებმა [illegible] ტიეს გაათანაბრონ ქალთა [illegible] ქთა ერთეულთა თანრიგში [illegible] წილე ჩოგბურთელთათვის [illegible] თვნილი საპრიზო ფონდი [illegible] რად, დიდი მუზარადის 4 [illegible] რიდან მხოლოდ უიმბლდონი [illegible] დარჩა, სადაც ქალთა საპრიზო [illegible] ნდი ვაჟებისას ჩამორჩება

ძალოსნობა

# ჯერჯერობით — დროებით

**ყველა** თურქ ძალოსანს [illegible] ებით აეკრძალა საერთაშორისო [illegible] რნირებში მონაწილეობა. [illegible] დაწყვეტილება მიიღო საერთაშორისო ძალოსნობის ფედერაციამ [illegible] ზეზე სამი თურქი სპორტსმენის [illegible] პინგზე ჩავარდნაა. [illegible] ლიოს ანტიდოპინგური [illegible] თურქები აკრძალული პრეპარატე ბის ხმარებაში ამხილა, [illegible] ამ ქვეყნის სპორტსმენებს [illegible] ანი დისკვალიფიკაცია [illegible]

25 სექტემბერს, დილის 10 საათზე, რესპუბლიკის მოედნიდან სტარტს აიღებს ტრადიციული მარათონი. იგი უკვე მეხუთედ გაიმართება და გულის მსოფლიო დღეს მიეძღვნება. გარბენში, რომლის ფინიშიც თავისუფლების მოედანზე იქნება, 300-მდე სპორტსმენისა და შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანის გარდა მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

მარათონს მოემსახურება მსაჯთა ბრიგადა ეროვნული კატეგორიის მსაჯის ტარიელ ორდენაძის ხელმძღვანელობით.

აქციის ორგანიზატორები არიან: მერიის სპორტის სამსახური, სპორტის დეპარტამენტი, მძლეოსნობის ფედერაცია, გულის ფონდი, შეზღუდული შესაძლებლობების ფედერაცია და ეროვნული ფედერაცია — სპორტი ყველასთვის.

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

ჩემპიონატზე ითამაშებენ: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), პეტერ სვიდლერი (რუსეთი), იუდიტ პოლგარი (უნგრეთი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)

# ლეკომ ძველი დაივიწყა და ახალზე ფიქრობს



პეტერ ლეკო

უნგრელი მოჭადრაკე პეტერ ლეკო 1979 წლის 8 სექტემბერს სეგედში დაიბადა და დიდოსტატის წოდება საკმაოდ ახალგაზრდამ მოიპოვა.

ლეკოს მსოფლიოში არსებული სამივე სუპერტურნირი (ვეიკ ან ზეე, ლინარესი და დორტმუნდი) აქვს მოგებული. მსოფლიოს ჩემპიონატზე ლეკოს ადრეც უთამაშია. შარშან ივი კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ რუს ვლადიმერ კრამნიკს დაუპირისპირდა და ყაიმით 7:7 დაუსრულა შეხვედრა, ამით კი რუსმა ტიტული შეინარჩუნა.

ფიდეს რეიტინგში ლეკო მეოთხე ადგილზეა და ჩემპიონატის დაწყებამდე ტრადიციულ ათ შეკითხვას უპასუხა.

**— რას ელოდებით ამ შეჯიბრისგან?**

— ყველაფერი შესაძლებელია, თუ კარგად ვითამაშებ. ფინალურ შედეგზე ჯერ არ ვფიქრობ და ვეცდები ყოველ ტურში თამაშის ხარისხი გავაუმჯობესო. ჩემი მოწინააღმდეგეები საკმაოდ ძლიერები არიან, მაგრამ მე არავის არაფერს დავუთმობ.

**— როგორ შეფასებას აძლევთ ამ შეჯიბრების დებულებას, რომ ყოველ მოწინააღმდეგესთან ორი პარტიის გამართვა მოგიწევთ?**

— მაღალი კლასის მოთამაშეებისთვის ეს ცოტა მოულოდნელია. ამ სისტემით ჩვენ ყოველწლიურად ლინარესის სუპერტურნირზე ვთამაშობთ, მაგრამ აქ სულ სხვა შეჯიბრი და მეტი დაძაბულობაა. კარგი აზროვნება და ფიზიკური მომზადება ჩვენთვის აუცილებელია.

**— თქვენი შვიდი მეტოქიდან ვინ მიგაჩნიათ ტურნირის ფავორიტად?**

— ეს ძნელი შეკითხვაა. რეიტინგს თუ ჩავხედავთ, ფავორიტი ანანდი და ტოპალოვია, მაგრამ ლამეთანხმებით, ხელწამოსაკრავი არც სხვები არიან. შესაძლოა პატარა შეცდომამ გადაწყვიტოს ჩემპიონობის ბედი.

**— როგორ ემზადებით ტურნირისთვის?**

— ჩვეულებრივად, განსაკუთრებული არაფერია. ამ ტურნირს ნუ ადარებთ შარშანდელ მატჩს, რომელიც კრამნიკის წინააღმდეგ გავმართე. იმ დროს მართლაც საჭირო იყო სპეციალური მომზადება, მაგრამ ახლა შვიდი მეტოქის წინააღმდეგ ეს შეუძლებელია. აქ მთავარია მოტივაცია, ახალი იდეები, დიდი ენერგია და მოხერხებულობა.

**— ფიქრობთ, რომ საუკეთესო შედეგს აჩვენებთ?**

— კრამნიკთან შეხვედრის შემდეგ ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი მოვიგე და ჩემს თავში დავრწმუნდი. მას შემდეგ უკვე მობილიზებული ვარ სან ლუისისთვის. მე ოპტიმისტი გახლავართ და დარწმუნებული ვარ, რომ აქ კარგად ვითამაშებ. თქვენ იცით, რომ მსოფლიოში არსებული ყველა სუპერტურნირი მაქვს მოგებული და მჯერა, რომ მათ სან ლუისიც დაემატება.

**— ვინ მოიგებს შეჯიბრს?**

— უკაცრავად, მაგრამ ამას ვერ გეტყვით და სჯობს, ჩემი აზრები საიდუმლოდ შევინახო.

**— თქვენ ბევრ ძლიერ ტურნირში გითამაშიათ, ეს თუ განსხვავდება მათგან?**

— დიახ. ეს სუპერტურნირზე დიდი შეჯიბრია და დაძაბულობაც ზომაზე მეტი ექნება.

**— მაყურებელი ბევრ სიახლეს ნახავს?**

— რასაკვირველია, აქ მრავალი დაძაბული და საინტერესო პარტია გათამაშდება და მაყურებელიც არ მოიწყენს.

**— რას არ გამოტოვებს მაყურებელი?**

— არ მინდა ვინმე გავალიზიანო, მაგრამ დაგარწმუნებთ, რომ ჭადრაკის ნამდვილი გულშემატკივრები ამ ტურნირს არ გააცდენენ. ეს წლის უმნიშვნელოვანესი ტურნირია და ხალხი უკვე მოუთმენლად ელის მის დაწყებას.

**— არგენტინაში ჩასვლისას პირველად რა მოგივიდათ თავში?**

— პირველ რიგში არგენტინის საფეხბურთო ნაკრები, რადგან ეს სპორტი ძალიან მიყვარს. არგენტინაში ერთხელ 1994 წელს ვიყავი და „რიველ პლეიტის“ თამაშზე მიმიწვიეს. მე გავესაუბრე ლეგენდარულ მეკარე სერხიო გოიკოეჩეას და ეროვნული ნაკრების მწვრთნელ დანიელ პასარელას. ეს დაუვიწყარი იყო.

## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი
### იტალია. სენტ-ვისენტი. 18-24 სექტემბერი

III ტური

ვაჟები

| | | |
|---|---|---|
| ია თბილისი (საქართველო) | 3,5:2,5 | ტპს (რუსეთი) |
| 1 ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) | 1:0 | ემილ სუტოვსკი (ისრაელი) |
| 2 ზვიად იზორია (საქართველო) | 0,5:0,5 | სერგეი პოლკოვი (რუსეთი) |
| 3 მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ევგენი ნაიერი (რუსეთი) |
| 4 მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | პეტრ კირიაკოვი (რუსეთი) |
| 5 გიორგი გიორგაძე (საქართველო) | 0,5:0,5 | სერგეი ივანოვი (რუსეთი) |
| 6 ლევან ფანცულაია (საქართველო) | 0,5:0,5 | ვასილი იემელინი (რუსეთი) |

ქალები

| | | |
|---|---|---|
| სტუკენიაგერი (ჰოლანდია) | 0,5:3,5 | ნტნ თბილისი (საქართველო) |
| 1 ბიანკა მუჰრენი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | მაია ლომინეიშვილი (საქართველო) |
| 2 პეტრა შურმანი (ჰოლანდია) | 0:1 | ნანა ძაგნიძე (საქართველო) |
| 3 მარიონ ადრიანსი (ჰოლანდია) | 0:1 | ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) |
| 4 ვინიფრედ პაულისი (ჰოლანდია) | 0:1 | ანა მათნაძე (საქართველო) |

# ქართველები იგებენ და ადგილზე რჩებიან

ზედიზედ მესამე პარტია მოიგო „ია თბილისმა“. მესამე ტურში მან რუსულ „ტპს“ მოუგო 3,5:3,5 და ცხრილში მეოთხე ადგილი შეინარჩუნა. ქართველთაგან მხოლოდ 2003 წლის ევროპის ჩემპიონმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა იმარჯვა. მან 2001 წლის ევროპის ჩემპიონი ებრაელი ემილ სუტოვსკი დააშამათა, დანარჩენმა ხუთმა ჩვენებურმა კი ყაიმებით დაასრულა შეხვედრა და საბოლოოდ თავიანთვის სასარგებლო ანგარიში დააფიქსირეს.

იოლად იმარჯვა ქალთა გუნდმა „ნტნ თბილისმა“. ქართველებმა ჩემპიონატის აუტსაიდერი ჰოლანდიური „სტუკენიაგერს“ გაანადგურეს 3,5:3,5 და ვაჟების მსგავსად ცხრილში ადგილი შეინარჩუნეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ურალი (რუსეთი) | 6 ქულა |
| 2 ტომსკი-400 (რუსეთი) | 6 |
| 3 ლადია კაზანი (რუსეთი) | 6 |
| 4 ია თბილისი (საქართველო) | 6 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 პლატინა (რუსეთი) | 6 |
| 2 ავს (რუსეთი) | 5 |
| 3 ნტნ თბილისი (საქართველო) | 5 |





ევროპის 2003 წლის ჩემპიონმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა 2001 წლის ჩემპიონ ემილ სუტოვსკის მოუგო

# მარადონამ კარპოვს ჭადრაკი გაუცოცხლა

**ანატოლი** კარპოვმა და დიეგო მარადონამ პოპულარულ ტოკ-შოუში („სადამო ათიანთან ერთად“) საჭადრაკო დებიუტი გაითამაშეს პირდაპირ ეთერში, რომელიც არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავს მიჰყავს. კარპოვი თვალუჩვეულო თამაშობდა, ხოლო იმპროვიზებულ დაფაზე ფიგურები ცოცხლები იყვნენ.

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ანატოლი კარპოვი ბუენოს აირესში ჩავიდა, რათა მონაწილეობა მიიღოს XVI საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში, რომელიც არგენტინელი გროსმაისტერის მიგელ ნაიდორფის ხსოვნას ეძღვნება. კარპოვის თქმით იგი არგენტინელ გროსმაისტერთან მის სიკვდილამდე — 1997 წლამდე მეგობრობდა. ამიტომაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე რუსი მოჭადრაკე არგენტინაში ჩავიდა.



ფესტივალის მთავარი მიზანი ნორჩი მოჭადრაკე ტალანტების მხარდაჭერაა. რუსი გროსმეისტერი აქ შეხვდა ნორჩთა საჭადრაკო შეჯიბრებების გამარჯვებულებს და მათთან ერთობლივი თამაშის სეანსიც ჩაატარა. ამის მერე კარპოვი ურუგვაისა და ჩილეში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ არგენტინაში შეყოვნდა, მერე კი იმ საღამოს კარპოვი ჭადრაკში არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავს დიეგო მარადონას შეებრძოლა.

რუსი გროსმასტერი ტელესტუდიამ საჭადრაკო კლუბ „ვილია მარტელის“ ნორჩ აღსაზრდელებთან ერთად გამოჩნდა. ბავშვები საჭადრაკო ფიგურების კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი და მათ იმპროვიზებულ საჭადრაკო დაფაზე თავიანთი ადგილები დაიკავეს. ანატოლი კარპოვს თვალები აუხვიეს და დაიწყო სიმბოლური „ცოცხალი“ პარტია, რომელიც სულ რამდენიმე სვლის შემდეგ მაყურებლით სავსე დარბაზის აპლოდისმენტებით დასრულდა.

რუსმა გროსმეისტერმა მარადონას აჩუქა საჭადრაკო ფიგურების კომპლექტი და იუმორით აღნიშნა, რომ იგი „თავის მეფეს არასოდეს დაკარგავს“.

ამას გარდა, კარპოვმა მარადონას აჩუქა საჭადრაკო დაფაც, რომელზეც „მეტოქეებმა“ საკუთარი ავტოგრაფები დატოვეს. თავის მხრივ არგენტინელმა რუსს ტრადიციისამებრ გადაცემაში მონაწილეობისთვის ავტოგრაფიანი ბურთი აჩუქა.

საინტერესოა, რომ მარადონამ მას მერე გადაწყვიტა ტოკ-შოუში მონაწილეობა, როცა ზედმეტი წონა მოიკლო. მისი პროგრამის პირველი მთავარი სტუმარი „ფეხბურთის მეფე“ პელე იყო.

სხვათა შორის, ამ გადაცემისას ორმა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა სახალხოდ განაცხადა, ჩვენს ყოველგვარ უთანხმოებებს წერტილი დავუსვითო.



რონ ფრენსისი

ნჰლ-ის კლუბები სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ. ოთხშაბათს ლიგის უკლებლივ ყველა კლუბმა საწვრთნელი ბანაკი უჩვეულო აქტიურობით გახსნა, რაკილა თამაში ყველას მოენატრა. ჩემპიონატის დაწყებამდე სამიოდე კვირაც აღარ დარჩა და ყინულზე ხმაურიც სულ უფრო მატულობს.

# ყინულზე ხმაურიც მატულობს

**ყველა** გუნდს არა აქვს შესაძლებლობა, სრული შემადგენლობით მოემზადოს. მაგალითად, „ფილადელფია" უკვე ორი ლიდერის გარეშე დარჩა და თუ პეტერ ფორსბერგი სეზონის დაწყებამდე ალბათ მოასწრებს მომჯობინებას, სამი კაპანენი გაცილებით დიდხანს, 10 კვირას დაისვენებს. ამით შეწუხებულმა გუნდის ხელმძღვანელობამ უმალ ფინელის შემცვლელი მოძებნა ბრაიან სავაჟის სახით.

ოთხი-ხუთი წლის წინ სავაჟი საკმაოდ მაღალი დონის ძალისმიერ ფორვარდად ითვლებოდა, თუმც ახლა უკვე 37 წლისაა და ძველი შედეგიანობით ვეღარ დაიკვეხნის.

ზოგ კლუბს სულ სხვაგვარი პრობლემები აწუხებს. „დეტროიტისა" და მისი ლიდერის პაველ დაციუკის უთანხმოებაზე უკვე ვიცით (სხვათა შორის, დღემდე მისი რუსეთში კარიერის გაგრძელების საკითხიც არ მოგვარებულა და მოსკოვის „დინამოს" და ომსკის „ავანგარდს" აქამდე ვერ გაუყვიათ ფორვარდი), ახლა კი იგივე პრობლემა „ატლანტას" შეექმნა. „ტრეშერები" ვერა და ვერ ახერხებენ კონტრაქტის გაფორმებას ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეგოლე ილია კოვალჩუკთან. ბოლო ინფორმაციით, კოვალჩუკის აგენტმა არ მიიღო საკმაოდ ხელსაყრელი წინადადება, რომლის თანახმადაც კლუბი რუსს კოლუმბუსელი რიკ ნეშის კონტრაქტზე (5 წლის განმავლობაში 27 მილიონი) ოდნავ უკეთეს პირობებს სთავაზობდა.

ამასობაში კოვალჩუკი დროს არ კარგავს და რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობს.

„ვფიქრობ, ილიას საკმაოდ კარგი წინადადება მივეცით. ძალიან გვსურს, რომ ის ჩვენი მომავლის განუყოფელი ნაწილი იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბიზნესია. თუმც უკოვალჩუკოდაც საკმარისი ძალა გაგვაჩნია, რათა მომდევნო ნაბიჯი გადავდგათ" — თქვა „ატლანტას" გენერალურმა მენეჯერმა დონ უოდელმა.

აღსანიშნავია, რომ უოდელი არა მარტო ლაპარაკობს, მოქმედებს კიდეც. ჭირვეული რუსის მომავალი მან წინასწარ გათვალა და მის ადგილზე გამოჩენილი სნაიპერი პეტერ ბონდრა მიიწვია. 37 წლის გარემარბი წლეულს განსაკუთრებით მოწადინებული უნდა იყოს, მას ხომ მხოლოდ 23 გოლიღა აშორებს 500-შაიბიანი ნიშნულისგან.

შეგახსენებთ, რომ თავის პირველ სამ ნჰლ-ურ სეზონში გუნდმა ერთხელაც ვერ მოახერხა პლეი ოფში გასვლა.

აი, რაიან სმიტი ნაკლებად ჭირვეული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა და სხვა კლუბებისგანაც მიიღო ხელსაყრელი წინადადებები, მან მაინც მშობლიურ „ედმონტონში" დარჩენა ამჯობინა. რაიანი გუნდში კიდევ ორ წელიწადს გაატარებს და სავარაუდოდ ამ ხნის განმავლობაში 7,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

ბოლოს ორი სახელოვანი ვეტერანის ამბავსაც მოგახსენებთ. უფრო სწორად, ერთ-ერთი მათგანის საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო. მარკ მესიეს ვგულისხმობთ, რომლის წასვლაზე ამას წინათ მოგახსენეთ. უბრალოდ, „რკინის მარკი" ოფიციალურად ყინულს მხოლოდ ხუთშაბათს გამოეთხოვა.

სწორედ იმავე დღეს კიდევ ერთი გამოჩენილი ფორვარდის წასვლის ამბავი გახდა ცნობილი. ლიგის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე წარჩინებულმა პლეიმეიკერმა, კაროლინელმა რონ ფრენსისმა დაასრულა კარიერა. თასის ორგზის მფლობელმა თავისი 23-წლიანი კარიერის საუკეთესო წლები მარიო ლემიეს გვერდით გაატარა, თუმც ბოლო სეზონამდე კვლავაც ჩინებულად ასრულებდა თავის მოვალეობას. საბოლოო ჯამში ფრენსის მონაგარი 1731 ქულასა და 1249 პასს შეადგენს, რაც შესაბამისად ნჰლის მესამე და მეორე შედეგია. მართალია, თამაშის არცთუ კაშკაშა მანერისა და ბუნებრივი მოკრძალების გამო ფრენსისი იმდენად სახელგანთქმული ვერ გახდა, როგორც თუნდაც მესიე, მაგრამ, ფორვარდის თქმით, მთავარი ისაა, რომ მან მთელი კარიერა შედარებით თანაბარ, მაღალ დონეზე განვლო და ამდენი ხნის შემდეგაც დიდ წუნს ვერ ხედავს. ხუმრობაა, ყოველთვის უფრო მეპასედ ცნობილ ფრენსისს საერთო ჯამში 20 სეზონში საშუალოდ 20 ან მეტი გოლი გაუტანია.



რაიან სმიტი

**სამველ ღარიბიანი**

## ინგლისი

კარლინგის თასი
I ეტაპი
დონკასტერი 0:0 სიტი ჰ დდ 3:0 პენ
ფულემი 2:2 ლინკოლნი 5:4 დ.დ
ბლეკბერნი 3:1 ჰადერსფილდი

## იტალია

სერია A
IV ტური
უდინეზე 0:1 იუვენტუსი
ტრევიზო 0:2 სამპდორია
პალერმო 1:0 რეჯინა
რომა 4:1 პარმა
მილანი 2:0 ლაციო
მესინა 0:0 ლივორნო
ლეჩე 1:3 ფიორენტინა
კიევო 0:1 ინტერი
ემპოლი 3:1 კალიარი
ასკოლი 1:1 სიენა
სერია B
V ტური
რიმინი 0:0 ვერონა
კრემონეზე 0:0 ტრიესტინა
სერია C1/A
გადადებული მატჩი
სპეცია 4:0 სალერნიტანა

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
IV ტური
სარაგოსა 3:1 ოსასუნა
ბარსელონა 2:2 ვალენსია
ვილიარეალი 1:2 სელტა
სოსიედადი 3:2 ატლეტიკო
რასინგი 1:0 ესპანიოლი
მალაგა 0:0 ალავესი
დეპორტივო 1:1 ბეტისი
სევილია 0:0 კადისი
ხეტაფე 1:1 მალიორკა

## საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
VIII ტური
ტულუზი 1:0 მარსელი
მეცი 1:2 ოსერი
ნიცა 1:0 ლე მანი
აიაჩო 0:0 სტრასბური
სენტ ეტიენი 0:2 ნანსი
სოშო 1:0 ნანტი
რენი 2:2 ბორდო
ტრუა 1:2 მონაკო
პსჟ 2:1 ლილი

## ბელგია

იუპილერლიგა
VII ტური
სერკლი 3:0 ბეერსხოტი
ლუვიე 2:3 გენკი
ლოკერენი 1:2 ბევერენი
სტანდარდი 2:0 ბრიუგე
ვესტერლო 0:0 ლიერსი
ვარეგემი 4:1 მუსკრონი
ანდერლეხტი 5:1 რუზელარე

## შოტლანდია

თასი
I ეტაპი
ეირი 1:2 ჰიბერნიანი
სელტიკი 1:1 ფოლკირკი 2:1 დ.დ
ლივინგსტონი 1:0 ჰართსი

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა
XXV ტური
ტპ-47 3:5 ტურკუ
ტამპერე 2:0 კტპ
მარიეჰამნი 0:2 ინტერი
ალიანსი 1:2 იარო

## ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი
აიაქსი 2:2 დენ ჰააგი

## გერმანია

ბუნდესლიგა
VI ტური
ჰერტა 3:2 დუისბურგი
ლევერკუზენი 2:1 კიოლნი
ლაუტერნი 0:2 მაინცი
ნიურნბერგი 1:1 შალკე
შტუტგარტი 1:2 ჰამბურგი
მეორე ბუნდესლიგა
VI ტური
ბურგჰაუზენი 0:1 კოტბუსი
პადერბორნი 1:2 ფიურტი
აუე 2:0 ზაარბრიუკენი
ალემანია 6:2 ალენი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
X ტური
ვერდერი (მ) 3:2 ლევერკუზენი (მ)
ემდენი 2:0 ობერჰაუზენი
ჰამბურგი (მ) 0:0 ჰერტა (მ)
ლიუბეკი 1:0 ფორტუნა
კიოლნი (მ) 1:1 ხემნიცი
ვატენშტაიდი 1:2 კილი
ესენი 2:1 კარლ ცაისი
ერფურტი 1:2 ვუპერტალი
სამხრეთ რეგიონალლიგა
VIII ტური
ბაიერნი (მ) 0:0 ელვერსბერგი
რეგენსბურგი 2:1 ეშბორნი
აალენი 0:2 აუგსბურგი
ფულენდორფი 0:0 კობლენცი
კარლსრუე (მ) 1:0 დარმშტადტი
ვეენი 1:2 ბაირუთი
ტრირი 2:2 მიუნხენი (მ)

## დანია

სუპერლიგა
X ტური
მიდტიულანდი 0:1 ოდენსე
ესბიერგი 1:4 ვიბორგი
ოლბორგი 3:2 სიონდერიულანდი
ჰორსენსი 1:1 ორჰუსი
სილკებორგი 1:1 ნორდსიულანდი
ბრონდბიუ 1:1 კოპენჰაგენი
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ვეილე 4:1 რანდერსი
თასი
II ეტაპი
ბ-93 3:5 კოლდინგი

## რუსეთი

თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩი
ლოკომოტივი ჩიტა 2:0 ალანია
(0:2) 5:4პენ.

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
XI ტური
ტიროლი 1:1 რიდი
ზალცბურგი 1:0 გრაცერი
პაშინგი 2:0 მატერსბურგი
აუსტრია 2:1 ადმირა

## სლოვენია

სი მობილ ლიგა
IX ტური
ნაფტა 1:0 დრავა
პრიმორიე 1:0 პუბლიკუმი
რუდარი 1:2 გორიცა
კოპერი 2:1 ბელა კრაინა
მარიბორი 0:0 დომჟალე

## შვეიცარია

სუპერლიგა
IX ტური
აარაუ 1:1 ციურიხი
შაფჰაუზენი 0:4 თუნი
სენტ გალენი 2:1 ივერდონი
გრასჰოპერი 3:0 ქსამაქსი

## ნორვეგია

თასი. ნახევარფინალი
ლილესტრიომი 2:0 ვოლერენგა

# ამოვმავალი ბულგარი

ორმეტრიანმა ბულგარელმა სუმოისტმა კოტოოშუმ, რომელმაც სეკივაკეს ღირსება დაირტყა ტოკიოს ბაშოში, 15 დღიან შეჯიბრის დასაწყისში ათი ორთაბრძოლიდან ყველა მოიგო, ამათ შორის კი იოკუძუნა ტომანოშიმასთან (დაბლა), რამაც მაყურებელთა აღტაცება და ბალიშების კეთილად სროლა გამოიწვია.



AFP ტოკიოდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP პეკინიდან

# რუსის მაგრები

რუსის ჩოგბურთელი ქალები ახლა უძლიერესნი არიან მსოფლიოში. ნომერი პირველი, მარია შარაპოვა ახლა ჩინეთის პირველობისთვის ემზადება, სადაც საპრიზო ფონდი ნახევარ მილიონ დოლარზე მეტია. მოცლილი ელენა კამერინი კი კალკუტის პოდიუმზე დგას. იქაური მოდების ჩვენებაში ბევრი ჩოგბურთელი ჩაუბამს.



AFP კალკუტიდან



AFP საკრამენტოდან

# ქალთა ჩემპიონები

ქალთა ნბა-ს ახალი ჩემპიონი ჰყავს საკრამენტოელი მონარქები. გოგონებმა ჩემპიონობა მეოთხე თამაშში მოიპოვეს, რახანღა კონექტიკუტელ გზებს სძლიეს 62-59.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხურციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ ბადლაძე, კელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღელაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაყვალა ღოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge